

ნებ გამსაზღვრის

БИБЛИОТЕКА

89996

3-18

ი



# რომელსაც ვხედავ

# კონსტანტინე გამსახურდინა

გვარი ქულაძე

1. 899.96 შ. ბ  
გ-18, 1

## პვეყანა, რომელსაც ჰქონდა

1944-190382

028640 122608



## კოლექცია რენასანსი

ფოტოგრაფი. 1924

200 1944-190382

## డెడాడ, మిస్తిచుఖు కాలు!

గొప్పుర్ణుబ బెంగులు త్వాల్పుబశి. మేంబినో క్షేమి ర్థాంసులిస. భింధిత మండిశారు గిత వ్యేస్తిస మంచుప్రామంగ్యా. ర్చీలు-శి మంబిలులు రింగుట్రిప్ శీశుగులుడో క్షేమి డాయిమ్మంబిస. మినడా విట్రింగ్, రింథ మే విగ అబాల్గాశీల్డా వారు. విగ మంచుప్రామంగ్యా మ్యాట్లో. జూట్సులుండ క్షేమి నాఫ్యుర్మ్యశి. గ్లూలి మట్టుగ్వా: క్షేమి ఏ గ్లైమిస.

శ్రేణ బోథ గాంగ్స్ బ్రింగ్, రింగ్ వ్యాపాద వారు. ఒస జి ఎలు గ్లైమిస, త్వు లా సట్టుగ్వా ఎం క్షేమి చ్చువ్వా వ్యుల్. గొప్పుర్ణుబ. గ్లోడాజ్ లా శ్రేణి త్వాల్పుబశి మ్యులాండ్ర్యుబ్ డాల్మాల్సుల సిసెలుసిస బెంగులి ర్థాంసులు. విన శ్రేష్ఠుబ్బెర్చిం నాప్రోబ మినడ్ర్యుబశి గాశీల్డిల్లో— సినాతలుసిస్ మిప్పుహ్రువాలుస్యెన రింథ అమిసెర్చిల్లు.

### డ్రెడావ్, మిస్తిచుఖు జ్యాల్మ!

శ్రేణ ఏ ప్రాంత్రిక్ మే సినాతలుసి స్క్యూలు గ్రిఫ్యాన్సి? జ్యో మేర్ల్యుబ్ ఎం జెత్రెర్లోస ప్రో ఉట్సుక్రుల్చుల్చెబశి. త్వాల్పుబ శ్రేట్యాన్సి. ఎమిస ప్రెట్రో ఏ శ్రేమిద్లోస. వెంట్యుప్పో. వెల్పుల్చావ్ డా వ్రెంట్రుమాన్లో సినాతలుసిసా డా క్రిండిల్లో ఉట్సుక్రుల్చెబశ్చే గాండాజీల్చుల్లో.

మంమేప్రి శ్రేలు. శ్రే మిట్టిసటాన ఉట్టర్లో ఎల్లం వారు. మా-ప్పామ్మె మిట్టిం నాప్రోబి డా క్లేస్టింగ్సి.

### డ్రెడావ్, మిస్తిచుఖు జ్యాల్మ!

მე ვასაკა ვარ ხეზე გასული. თავის ჭაობში ვინ  
დატეული და ბნელიანი. მე შენს თვალებში მეღან-  
დუბა ჩემი წარსული და მეშინია, რომ მოხუცი დე-  
დის შეილი ვარ. მე ვასაკა ვარ. მეშინია მაღლა  
ასულმა ვერ გაეიგონო მოხუცებულ მშობლის გუ-  
ლის თქმა. მომეცი ხელი და დამაბრუნე.

დედავ, მისტიკურო ქალო.

ვინ შეგეხვეწა, სამეცნიელოს ბნელ ჭაობებში დაბა-  
დებული თაებრუდამსხმელი სინათლისკენ რომ ამი-  
სროლე.

შენ მემაშხალე—მე მაშხალა ვარ ციკი ეთერის უფს-  
კრულებში ზეატყორცნილი. მიეპქრი სულ ზევით,  
როგორც გიცი ფეიატორი. ჩემს აღმასრმოლის ვერ  
ეწევა ორბი ფრთაშალი. ძირს დარჩია მიწა მტკე-  
რიანი და დაეკანგული.

ვეძგერე ქაოსს კით თაეჭედი მაკედონელი.

აჲა, იხსნება მეშეიდე ცის იღუმალება. მიეპქრივარ  
მაღლა. იღარ ვიცი სად დაეცემი. სად დამიტირებს  
შენი შავი, შნელი თვალები. უნდა დაეიწეა. უფს-  
კრულები მსურს გავანათო. უნდა დაეიწეა როგორც  
მაშხალა.

არ გებრალები?

დედავ, მისტიკურო ქალო!

სატანტო ქალაქი.

## საათიბი.

საათზე უფრო ღრმა სიმბოლო მე არ შეგულება!

თვალწინ მიღვას ღრმად მოხუცებულის დაშვენარი სახე, თეორ მოვარესავით მრგვალი და პრტყელი. თვალებ ჩანისლული და თავდაეიწყებაში მოვლემარე. ნელა, ნელა ეპარება ამ სახეს ორი ვარდის-ფერი თითი პაწია შეილის-შეილისა. უკაცენებს ბებიას სახეზე და ნაოქს უსწორებს. პაწია თითები მიკოცავენ ბებრის სახეზე. თვალწინ მიღებიან: საათები, საათები, ეკლესიების გუმბათებზე, საათები დიდი ქალაქის მოედნებზე, საათები, ფართე, ლია თვალებიანი საათები, რეინის ვინის სადგურ რებაც, როცა შეაღამისას ექსპრეს-მატარებლით მიჰქოლავხარ სივრცეში და ისინი ისე დალერემილიდ ფამოიყურებიან, როგორც გარდაცვლილი დროის სარეე თვალები!

ლია დარჩენილი თვალები მარადისაბისა!

ჩემს ხანგრძლივ უძინარ ღამეებში, მარტობაში და უცხოობაში ისინი რეაცენ, რეაცენ, თითქოს ვილაცას ჩემთვის ძვირფასსა და საკვარელს მიასვენებენ სადღაც, დიდი ქალაქის ბნელ ქუჩებში.

დარწევას ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ... ერთ-  
აუნდება თორმეტჯერ და ყველანი ერთის გადა-  
ნური დირიქტორის ჯოხის გაქნებაზე აეღარუნდებიან  
მთელი შძინარე ქალაქის საათები და ისეთი გრძნო-  
ბა მაქვს, თოთქოს ვიღაცებშია ცხრა ჩირალდანი  
აიღეს, სანდლები ფეხზე წამოიცვეს, ჩირალდნები  
აანთეს და ემზადებიან კასასევენებლად.

საათები ბინის კედლებზე, საათები მოედნებზე, საა-  
თები რეინის ვზის სადგურებზე. საათები ველესის  
გუმბათებზე, და ტრიუმფალურ პიშკებზე. რე-  
კავენ, ჩეკავენ, ზარითა და ზათქით მიასვენებენ  
მშე ვადასულ დროს, რომელიც უველაფერი, გვართ-  
მივს, ყველაფერს თან წაილებს, რაც აქამდის ვვიზ-  
რძნია, ყველაფერს რაც ვვყვარებია და შეგვჭრე-  
ბია. ჩვენს დიდ სიყვარულსა და ჩვენს დიდს ნე-  
ვეშს. ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბეღნიერე-  
ბას. ჩვენს დარღა და ჩვენს გულის კირს. ჩვენს  
ლიშილსა და ჩვენს ცრუმლებს. ყველაფერს, ყველა-  
ფერს თან წაილებენ საათები, საათები ჩვენი ბინის  
კედლებზე, საათები ქალაქის მოედნებზე, საათები  
რეინის ვზის სადგურებზე, საათები სიკედილის  
ტრიუმფალურ პიშკებზე.

შუალანი. 1920.

## ნაპოლეონი

ნახევრად ლია კარებში იდგა იმპერატორი. მას სისხლიერი წითელი პორფირი ეცეა. ხელში ვარდები, სისხლიერი წითელი. იყივლეს ვარდებშა ჩემს დანახვაზე როგორც ჩემმა ათასმა საყვარელმა, რომელთაც არაოდეს უნახავართ. იყივლეს ვარდებშა ჩემს დანახვაზე.

— ეინ მოვკა სირ ეგ ვარდები? უკონარი ბონოვარტეს. ვინ მოვკა ამ შეა ზემთარში, ვარდები? როცა გარედ ყინავს და მონაზებივით შევი ჟვავები დასტრიკალებენ ჭალაქს.

— ეს ვარდები, ამბობდა იმპერატორი, ჩემმა საყვარებმა მომიტანეს, სთქვა და კარი მთლად ვაალო. ასე მესმოდა თუ როგორ ხმაურობდენ მის პალატებში მისი ტიტეველი საყვარლები.

— ეს ერთი... მიმითითა მან ერთ ფერმერთალ ვარდზე, ეს ჟელაზე უკეთესი იყო, ხომ იყი რჩეულები აღრიც კვდებიან. ეს ვარდიც მოკედება მალე...

— მე ბრაზით ავენთე, გამოეგლიჯე ხელიდან თაიგული იმპერატორს, გამოეილე ის ვარდი და სახეში შემოჭვარი.

— გრუბევნოდეს სირ, გრუბევნოდეს, რომ ჩჩეჭლთა  
სიკვდილი შენც გჯერა.

— ჯერ მე კაცი არ მინახავს, რომელსაც სიკვდილი  
არ სჯეროდეს. დიდება შენ, რომელსაც სიკვდილი  
არ გჯერა. მან მოიხსნა პორტირი და გადამაცეა.  
მან მოიხსნა გვირვევინი და თავზე დამაღვა. დიდება  
იმ კაცს, რომელსაც სიკვდილი არა სწამს.

მე კიდევ შემოვეარი ნაპოლეონს მეცდარი ვარდი  
ცხვირპირში. გრუბევნოდეს, სირ, გრუბევნოდეს! ნა-  
პოლეონი გაჩუმდა... თავი ძირს დამშარა.

— აյი ამბობდი სირ: „ჯერ ტყეია არ ჩამოსხმულა  
რომელიც მომკლავსო“.

აյი ატუუებდი შენ ჯარის-კაცებს „მე სიკვდილის  
არ მეშინიაო“...

— ჰო, მაგრამ... წაიბურიბურა კორსიკელმა და სიტ-  
უე ვაუწყდა პირში.

— ჰო, მაგრამ... შენ არ იყავი ბერეზინისე რომ  
მოქურცხლე, შენ არ იყავი შევ ვატერლოდან რომ  
ვარბოდი დიაციცით...

— შენ დიდო კეისარი შენ. შენ! ახლა მესამეჯერ  
მიერტანე იმპერატორს მეცდარი ვარდი ცხვირთან.  
მინდოდა კიდევ შემომეჯრა, მაგრამ შემეცოდა. შე-  
მეცოდა სიკვდილისაგან დაშინებული ლმერთკაცი.

ბერლინი. 1920 წ.

## ტელეფონი.

ზამთრის ლამეში მომიხდა ბერლინში დაბრუნება... ჩემს ქურქში გახვეული ვიჯექი ტაქსომეტრში და ფანჯრიდან გავყურებდი დაცარიელებულ ქუჩებს. სახლების სახურავებიდან გველიერ ჩამოყიდებულ წყლის ღარების გრძელი, გრძელი კრისტალის შანდლები. ბრკვევიალებს ყინული. ელექტრონის ფანრების დუასრულებელ ლარის ქვეშ მიჩიქანებს დროშის ცხენი.

უზარმაზარი მკვდარი ქალაქი დაფიქრებული, მოლუშული მეგებება, დალერემილი, დაბნელებული ფართე ფანჯრები შემომცერიან,—დამოცილ მდევების ვამოლამებული თვალები, ყინულით შესუდრული დათოვლილი სახურავებიანი ქალაქი, თეთრი კარტონის ქალაქსა ჰგავს. ჰაუ ყველაფერი გაყინული, გაცივებული! ისეთი გრძნობა მაქვს: ამ ქალაქზე რომ რუხება ფრინველმა გადაიაროს და სახურავებზე გადაუსვას თავისი ბასრი ფრთები, მთელი ქალაქი დაიმსხვერევა, ნანგრევებათ იქცევა ეს უშველებელი, დიდი ციეილიზაცია მრავალი ათასი თაობის შრომითა და ოფლით მონაგარი ერთ წამში ფხეირად იქცევა.

სულით და ხორცით გაყინული ვაძლევედი დროშეთ  
დან. მიერდი ჩემი ძელი ბინის ზარის, მაგ-  
რად დაერეკე, არც გამხსენებია. რომ ამ სახლში  
ფარდები ჩამოშევებული იყო და ყველას ეძინა. კი-  
დევ. დავრეკე. ჩამი-ჩემი არ ისმის.

ხომ არ დახოცილან ამ სახლში მცხოვრებლები!  
ერთ წამში კარი ვიღოთ ავტომატიურიად. შევედი.  
ჩემი სტუდენტობის დროის ბინა. ნაცნობი სურა-  
თებით და კედლის ნოხებით.. როგორ მინდოდა მო-  
ხუც დიასახლისს მაინც გამოეხედნა და მოეთხრო  
თუ რა მოხდა ჩემს შემდეგ ქალაქში, ან ჩეც  
ძეველ ნაცნობებს შორის. სად არიან ჩემი მეცობრე-  
ბი, სტუდენტობის დროის ამხანაგები, ნეტავ წავი-  
დნენ აქედან, თუ ბერლინში დარჩინენ. ხომ კარგათ  
არიან?

კედელზე ჩემი ნორევეგიერი მეცობრის—იოჰანესის  
სურათი.

როგორ მოლეშული შემომჩერებია იგი თავის გა-  
ნიერ და ძირს ჩამოფხატულ წარმებიდან.

ნორევეგის ყინულიანი ფიორდის ქარი პქრის ამ  
წარმებიდან.

თითქოს ეს სურათი ძლიერ გამოუყელილია. უნებუ-  
რად აედექი და ტელოფონის თოახისაკენ გავე-  
ჩიარე.

„ცენტრი, ჩამჩიდახა მექანიურად კილაკამ ყურში.  
„თოახმეტი. — თრმოცხდახუთი“.

მაგრაც მიკიდევი ყუჩხე ტელეფონის საყვირი. აჩქარებული ზმუთლი და დრო გამოიწევებით ხრიალი ისმოდა. ასე მეგონა, ეს ხმა დაულეველ სიკრიტიკ მოდიოდა და ეს ტელეფონის საყვირი ერთს დიდ-სა და ერთულ, ცარიელ ქვეყანასთან მაერთებდა. კუსმენდი, ტანში ციცი, უსიამოვნო ტრუანტული მიკლიდა.

ჩუ, ვიღაცაშ ხელში აიღო მეორე საყვირი და ის ახსნა, ჩემი მეგობრი!

ეს სიტუაცია ისე ციცად, ისე ყრუდ ითქვა, შორიდან გამოძახილად მოვიდა ჩემთან დაბეჭილი გულვაცრატებული, უიმედო ფრთხების ფარტატით, თითქოს რამოდენიმე წლის წინად გამოსულიყო ჩემი მეგობრის პირიდან და ამა მოელწია ჩემს ყურამდის.

— იომანეს შენა პხარ? როგორა ხარ? რასა იქ? მივაყარე მე კითხვები ერთი მეორეზე.

— გმადლობ, როგორ ეიქნები...

შენ გახსოვს აღმად როგორის ინედით წავედი საშმობლოში ორი წლის წინად, როგორც კი ჩემი სადოქტორო სამუშავო დავამთავრე. ჩემი სპირიტისტული თეორიი უფრო ვაფივითარე. ამაზე დიდი პოლემიკა მქონდა კოპენჰაგენისა და კრისტიანიის ეურინალებში.

გაჩერებდა... ისევ ზუზუნი, მომაკედაუი კაცის ხროტინი ისმის ტელეფონიდან.



— იობანეს, ჰალო, იობანეს...

— აქა ვარ.

— მერე?

— მერე და შენ განსიოგა მეოთხე დიმენსიის დასაბუ-  
თებას ვაპირებდი. მთელი ღამეები, მთელი თვეები  
ვმუშაობდი... ეს მუშაობა შემაწყვეტია ცოლის შე-  
რთვაშ.

— რაო, ცოლი შეირთე, ინგებორი? შევეეითხე მე.

— არა, ავნესა, კოპენჰაგენის ოპერის მომღერალი.  
ერთი ზამთარი ნორევეგიაში ვავატარეთ... მე ჩემი-  
თავის ტკივილი მომიბრუნდა... ამ ხანებში ერთი  
ჩემი კოპენჰაგენელი სტუდენტობის ამხანავი მეწვია,  
შენ იცნობ მას. ის ცნობილი ანდერსენის ზღაპ-  
რების რეციტატორია, ზილბერტუანი. მთელი ღა-  
მეები, როცა მე ვად ვიყავი, ივი ჩემს ცოლს  
უამბობდა ბუხრის წინ ანდერსენის ზღაპრებს.

აქ მე ვაეგონე, რომ მან ხმელად დაიხეველა.

მერე ეს ზღაპრები ისე ვათავდა, როგორც ყოვე-  
ლი ზღაპარი თავდება ხოლმე. ერთხელ ჩემი ცოლი  
წაიყვანა მან ყინულზე სასრიიალოდ მახლობელ  
ტბაზე და მესამე დღეს ვაეიგე. რომ ავნესს მე  
ალარ ვუნდოდი. კოპენჰაგენიდან მომწერთა ვამოსათ-  
ხოვარი წერილი. რამოდენიმე თვე დაერჩი იქ. თა-  
ვის ტკივილებმა მიმატეს, საშინელი ბნელი და მირ-  
ტოხელი ღამეები. ყურის ხშუილშა მიმატა, თავ-  
ბრუ მეხევეოდა. როცა დავდიოდი ფეხ ქვეშ ყვი-  
თი

ლაფური ირყეოდა, ინგრეოდა, მედამ მიწის ძერებს ვვრდნობდი. ჩემს თავში საშინელი ბუნების კატა-სტროფები ხდებოდა იმ ლამეებში. ისეთი გრავირვა მესმოდა, თითქოს ნორვეგიის მთები მიწის ძერებსა და მეწურებს გაელეწნათ. მთები, ჩემი მთები მე-ლანდებოდა, დაჩეხილი, სახურავებიდან გაღმონიჩ-ბულ თოვლივით მიწაზე ეყარნენ. შენ ვახსოვა-მე და შენ შვეიცარიაში რომ ვიმგზაერეთ ფეხით, როგორი უშიშარი ვიყავი.

იმ ხანებში კი, კიბეზე რო ჩამოუდიოდი შიშით მისუდებოდა გული, კიბე არ ჩამონგრეულიყო. სახლილან ვამოსულას ველარ ვბედევდი და იმ დაუ-ლეველ, ვაუთენებელ ლამეებში მოველოდი, რომ სივრცეში ყველაფერი აფეთქდებოდა და მატე-რია ქოსად იქცეოდა.

მე თვითონ ვვრდნობდი, რომ სივრცის ავაღმყოფო-ბა მერეოდა, დალუპვის უსსკრულისაკენ მიმაქრო-ლებდა რალაც საშინელი და ვუცდიდი, სულ ვუ-ცდიდი, რომ ჯერ არ მომხდარი უნდა მოძხ-დარიყო.

ეს მოხდა კიდევაც. ერთ დღეს, მე მხეხე ვამოეედი როცა ცოტა დაობა მთებში. ნაშეაღლევს ჩეეულებ-რივად საერთელში ეიჯექი. შემაბანდიდან შევამ-ჩნიე, ეზოში მარხილით შემოვიდა ვიღაც შავტანი. სამოსიანი ქალი. ამოიჩინია კიბეზე, თოვლი დაი-ფეროთხა და დაჩეხა. მე ზარას ხმაზე მიწივლეს ზე-

რებმა, მივვარდი კარებს და იცი ვინ შემოვიდა? ინ-  
გებორი მოვიდა ჩემთან და თავისი გრძელი, რბი-  
ლი, თეთრი ხელები გამომიწოდა, შეგბლურაშა-  
კოც.

აქ იგი ვაჩუმდა, ამოიოხერა, მისი ოხერა ერთბა-  
შად აირია ტელეფონის საყვირში, სტერიო მომქ-  
შინაგა მარადისობისა და ლამის მძიმე სუნთქვასთან.  
კიდევ მოისმა მძიმე, მძიმე ხროტინი და მონოტო-  
ნური ტაქა-ტუკი...

შენ იცი, განაგრძო მან, მე ბუნების მეტყველობამ,  
ნიუტონმა და ლაუზიერ კატნთან მიმიკეანა, კანჭი-  
დან ხომ დიდი მანძილია წინდა ფრანსჩესკო ასი-  
სელამდის, ან სკედენბორგამდის.

ამ გზით მისტიკიზმამდის მიერწიე სულითა და ხო-  
რცით დაუძლერებული, მაგრამ ახლაც არ ენა-  
ნობ მე მისტიკიზმის მერყევ ნიადაგზედაც თავს  
ვიმაგრებ...

მე აქ შევაჩერე და ვთხოვე ინგებორზე ვანეგრძო.  
— პო და ერთხელ შევეხერი ინგებორს, ბოლო  
მოელო ჩემი ტკივილებისათვის. მან სავარაუდან  
ამიკეანა ბავშვიერი, მოიტანი უშეელებელი ციფი  
ჭვა და თავი დამიშსხვრია. იყო რა ვნახებ ჩემი ტვი-  
ნის ჯრედები სულ გამოლრღნილი ყოფილა. ეს  
იყო დიდი ნათელხილვა და სასწაული. მთელი თა-  
ვის ქალა გამსჭვარტლული იყო თუთუნის ნეკოტი-  
ნით, დიდი ქალაქის ქარხნების ობშივარითა და

მტვერით; აქ ყოფილან ნამცუცები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოს, საფირონის, მარმარილის, ქალალდების, გაზეთების, წიგნების, ტრანსპორტული თეორიების, კანტის, ლაპლასის, ლაუზის, აზის, აფრიკის, მთელი ჩვენი უსულო კოვილიზაციის და პათეთიური კულტურის...

და შიგ შუაგულში, არ დაიჯერებ, პატარა დალმეჭილი, გაყინული, დაკოერებული, დაუნდობელი აგნესის გული; მე აეიღე ხელში ეს ციცი, მეტერის ქვახავით გაყინული გული, რომელიც მაშინ ჩაეარდნილა ჩემს თვეში, როცა იგი ცაცხლ მოდებული და აღვზნებული ენახე, იმ ლამეს კოპენ-ჰაგენის ოპერაში „პოფმანის ზღაპრებში“.

მე ვთხოვე და ინგებორმა ეს უსიყვარულო გული ფეხით გასრისა. თავის კოხტა ფეხით გასრისა. გასრისა...

მას უნდოდა რაღაც ეთქვა კიდევ, მაგრამ მე ვავარუეტინე: უახლა, როგორ გრძნობ თავს იოპანეს... სიჩუმე.

ჰალლო, იოპანეს, იოპანეს ჰალლო.

მე მაგრად მიეკარი ყურზე ტელეფონის საყეირი, მაგრამ იგი სღუმდა, მხოლოდ მესმოდა ტელეფონის დაუცხრომელი ზუზუნი, ციცი, მუნჯი ლამე შეპუტუნებოდა ყურზი რაღაც საშინელსა და ვაუკონელს.

## აორცელანი.

ჩვენ მიუნდენში გავიცანით ერთმანეთი, ხელოვანთა  
მასკარალზე.

ჩემი ნიღაბი იყო: ოდისეი.

მისი — ფერია კალიპსო.

ორივენი ერთ შეზღონში ჩაეჯექით, როცა უკანას-  
კნელი პოლონეზი გათავდა.

უნებურად ჩემი მუხლის თავი მისას მოჭრედა. ეს  
იყო ჩვენი მასლათის შესავალი.

— „პარდონ მაღამ“ წავიჩურჩულე.

— მე მაღამი არ გახდავართ. იყო პასუბი.

— ნეტავ ვიცოდე თქვენ, როგორი ხართ სინაფე-  
ლეში?

— მე? მე მუდამ ერთი და იგივე, როგორიც სინამ-  
დეილეში, ისე ნიღაბოსანთა სალამოზედაც.

— არა, სერიოზულად, მე მაინტერესებს თქვენ რო-  
გორი სახე გაქვთ, როგორი თმა?

მე გავჩერდი.

— თქვენ ისეთი ხმა გაქვთ, მთიული უნდა იყოთ.

— როგორ თუ მთიული?

— მთიელი ქაცი.

— ეგ სწორია, მაგრამ როგორ შემატევთ?

— მე ვუიქნობ ეს ადეილი, თქენი ფოლადისებური  
ხმა გაქვთ. თქენი წინაპრები იღბად ტიკებით ეხი-  
დებოდენ შეშის მთიდან, ან ჯიხებზე ნიდირი-  
ბდნენ.

ცნობილია. მენავეებისა და მონადირეების მო-  
დგმას ხმამაღალი ლაპარაკი სჩვენია.

ჰაუზა.

მას ცალი ხელი მუხლზე უდევს, მეორეს შეზღონის  
ხავერდს უსობს.

— არა, მართლა მითხარით, როგორი თმა გაქვთ,  
შევი?

— ჰო ჩემი თმა შევია, როგორც საქართველოს უმ-  
თვარო ლამე.

მას რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ მე შევაწყ-  
ვიტიე.

— ჰო უკაცრავედ...

რა ძნელია, რომ კაცს მასკარადშიაც არ დაავი-  
წყდება ზრდილობა.

თქვით რა გინდოდათ.

— არა თქენი ბრძანეთ.

— ახლა მე არაფერს ვიტყვი სანამ თქენი...

— ჰო მე მინდოდა მეთქვა: ისეთი შთაბეჭდილე-  
ბა მაქვს, რომ თქვენ დანიშნული, ან ვათხოვილი  
უნდა იყოთ.

— რატომ? ნუ თუ ასე ხნიერი...

— არა, ნიღაბების სალამოზე ნათქვამი უკეტდა  
უნდა გაივოს კაცშა. საერთოდ, ქალის ნათქვა-  
მიც...

იგი გაჩუმდა. ნიღაბი გაისწორა.

მე მაგრად დაეუჭირე ცალი ხელი.

— ახლა უნდა მითხრათ თქვენი ნამდვილი გვარი,  
საცაა თქვენი კავალერიც მოვა.

მან გადაიხარხარა.—თქვენ თავხედი ვინმე ხართ.

რა ბავშვი სიცილი იცის, რა წერიალა ხმა. ვფი-  
ქრობ.

— ბარონესაჲ ფონ შტაინ.

მე მინდოდა მისამართიც მეყითხა, მაგრამ გაეჩუმდი.

— არა, გატუშუბთ. ეს ჩემი ქალიშვილობის გვარია.

მე გათხოვილი ვარ ბარონ როსტროუპსე.

— თქვენ, თუ არ ვცდები, ხელოვანი უნდა იყოთ.  
მატევარი?..

— არა.

— მუსიკოსი?

— არც ებ.

— მაშ?

— მე კაცმა რო თქვას, წმინდა ხელოვანი არა ვარ.  
მე ვხატავ პორტუკელანის პურპელის დეკორაციის ნი-  
მუშებს, იგ დარგი პრაქტიკულის მოსაზრებით  
არ ამირჩევია.

— რა უყოთ. ინტენსიური ხელოსნობაც...

პაუზა.—თქვენ რაზე გაჩუმდით?

- მე ვფიქრობ, ხელოვანი ქალი არ უნდა ვა-  
თხოვდეს.
- რატომ?
- ისე,
- წინააღმდეგ, მე ვათხოვების შემდეგ დაეიწყე-  
ხატეა.
- როგორ თუ ვათხოვების?..
- თუმცა მე ვათხოვებამდისაც ვიტანჯებოდი მო-  
სლევებული ფანტაზიის სიჭარებით, მაგრამ ხელოვ-  
ნების ვერც ერთ დარგში ვერ მოვეწყვე, რაღან მე-  
ვონა, როგორც სიტყვითი, ფერადობითი, ისე  
ტონალი ხელოვნებანი ვერ იძლევიან ისეთ ფაქტისა  
და რხეულ ნიუანსებს...
- საერთოდ ხელოვნება დღესაც ბანალურ რეა-  
ლიზმში იხრჩობა.
- მერე ვათხოვება აქ რა შეაწია?

— აი გეტყეით. მე ბარონ როსტროპი მიტომაც შე-  
მიყვარდა, რომ ის უფანტაზით კაცია. იმ ხანებში  
იყი ბაქტერიიელოგიით იყო ვატალებული. ერთხელ  
მარტივოფის დროს მეც ავიღე ხელში მისი  
მიკროსკოპი. ნამდევილი სინამდევილე მაშინ ვნა-  
ხე, სულ სხვა ფერადი, სულ სხვა ხაზოსმა, ეიდრე  
ის სინამდევილე, რომელსაც ჩვენ შეუიარაღებელი  
თვალით ვხედავთ.

მაშასადამე, ვიფიქრე მე, ჩვენი სინამდევილე მტკნარი  
სიცარუე უოტილა. კიდევ უოტილა მეორე სინამდევილე-

ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა მხატვრის პიკ-  
როსკომში დანახული. ამ შევნებამდის მე ამ ათიო-  
დე წლის წინად მიუყდი და ირაციონალის ფერების  
შეზამება დაუიწყე. მაშინ სად იყენენ ექსპრესო  
ნისტები? მე მათდა დამოუკიდებლად მიუაგრი  
ირაციონალ ექსპრესიონიზმს. სულ მიუროსკომის  
წყალობით.

იგი გაჩერდა. ჩემს სულში ახალი ჰეშმარიტება ჩაე-  
წვეთა, მე აშანე ვფრქნობდი.

— თქვენ როგორც თქვით, აღმოსავლეთიდან ყო-  
ფილხართ?

— დიახ.

— აღმოსავლეთი ჩემი ოცნების ქვეყანაა. მე სულ  
ინდოეთის, იაპონიისა და ჩინეთის ფერები მეღან-  
დება, ჩეენი კა, ჩეენი ზღვა, ფრიად ლარიბია ფე-  
რადებით... ყეელაზე უფრო დასავლეთ ექროპის ლრუ-  
ბლები ლარიბების ბალში გაფენილ მხერებივით წვი-  
რიანი და დაგლეჯილი. მე იაპონელების და ჩინე-  
ლების მხატვრობა მიყვარს. ისინი ირაოდეს  
მხატვენ ჩიტს ისე როგორც ეს ბუნებაშია, არამედ  
ჩიტს მუდამ ტრანზიტორულ მომენტში.—

საერთოდ ჩეენი ეკროპიული რეალიზმი მძივს, ბანა-  
ლური რეალიზმი.

იგი გაჩერდა.

— გენატრებათ აღმოსავლეთი?

— მე აღმოსავლეთში უნდა დავბადებულიყავი,

უნებურად მომავონდა პაინეს ნაძვის ხე, მთის კონ-  
ტოხზე რო დგას და მხით გაბრწყინვებულ ბზაზე  
ოცნებობს.

რა ძლიერია პოლარულ უკიდურესობათა ლტოლვა  
სავნებში!

ჩრდილოეთში დაბადებული ქალი სამხრეთზე ოცნე-  
ბობს!..

— ქორწინებას, მრავალ უბედურებათა შორის, ხში-  
რად კარგი მხარეებიც აქვთ. ჩემმა მეუღლემ თავის  
მიკროსკოპით მთელი ახალი ქვეყანა აღმომაჩენია,  
ახალი ქვეყანა ხელოვნებისა. ამბობდა მაღამ  
როსტრუპი.

— სამაგიეროდ ჩემმა ირაციონალ ფერადებშია მას  
აღმოსავლეთის სული და კულტურა შეაკეთა. მისი  
საყითხავებია ახლა: უპანიშადები, ლაოტზე და ია-  
ვონური მითოლოგია.

გამოთხვებისას: — შეეხვდებით რულოლფ შტაინერის  
მოხსენებაზე. ჰაბურგერის სალონში. ხუთშაბათს.  
მაღამ როსტრუპს ხშირად ვხედებოდი სპირიტის-  
ტების საღამოებზე, თეატრებში და ლიტერატურულ  
სალონებში. მაღა დაერწმუნდით, რომ ჩეენი დამო-  
კიდებულება ისე სათუთი გახდა, რომ მრავალთა  
შორის ყოფნა ჩეენ აღარ შეგვეძლო. უნდა მოგვე-  
ძებნა სიღმე კუნჭული, სიღმე მარტო ვიქნებო-  
დით.

ჩემს ვანკეციფრებას საშლეარი არა პქონდა, როცა

გან წინადადება მომკა, რომ მომავალ შაბათ სალა-  
მოს მათსას მოესულიყო ხუთი საათის ჩაზე.  
— ჩემი ქმარი. ამბობდა მაღამ როსტრუპი, ისეთი  
გატაცებული თარიენტალისტია, რომ მას დოდად  
დააინტერესებს თქვენი აზრები, საერთოდ იგი სუ-  
ლიერიად აღმოსავლეთში ცხოვრობს.

მერე დაიწყო შეენიერი სალამოები ბარონ როს-  
ტრუპის ოჯახში...

ძველი, ტრადიციული, გერმანელი ბარონის ოჯახი,  
რომელიც თავის დეკადანისის მწუხარში მისტიკით,  
წმინდა ხელოვნების იდეალებით და არისტოკრა-  
ტიული ესთეტიკისმით იკვებება.

დეკადანისი, ეამბობ. რაღაინაც როსტრუპის ოჯახი,  
როგორც მაღამ როსტრუპის სამკაულებზე შეფატი,  
ეალებში იყო ჩატულული.

ყოველ შაბათ სალამოს შავ მაძავონის მრგვალ მა-  
გიდას გარს კუსხედით ჩენ სამნი: მაღამ როსტრუპი,  
ბარონ როსტრუპი და მე. ნარინჯის ფრად შეღ-  
ბილ თახის კედლებიდან გაღმოოვცეროდენ მეჩვი-  
დმეტე საუკუნის მხატვართა სერათები, ბერები უნ-  
ტლილივით ანთებული, გავსილი სახეებით და გაბრ-  
წყინვებული თვალებით — იღებენ ხელში მაღალ ფე-  
ხიან წერიალა ბაჟალებს, რომელშიაც ოქროვანი  
ლეინო იაფობს. იქვე მთელი ამაღლა „აღა პამპა-  
დურ“, ჩატული ქალებისა, ლუდოვიკო მხეთა მეუის  
სასახლიდან. როკოკო ტანისამოსი, რაინდები მოკ-

ლე შპაგებით და მაღალ საყელოებით. მწევრები  
ამოკეცილ კულებით და გრძელი ბანჯგვლიანი, პარტ-  
კუნა ყურებით. მერე მთელი რივი პოლანდიელ  
შევდარი ბუნების მხატვრების: დახოკილი იხვები,  
ბატები, დაკლული ნადირი, დახლეჩილი ბროჭეულე-  
ბი. ჩეებ სამნი ვისხედით მწევნე აბაეურიან ელექ-  
ტრონის ლამპის ქვეშ, რომელიც ზედ ჩეებ თავ-  
ზე ეყიდა. ვისხედით როვორც ბედონის თჯახი  
უდაბნოს თანისში პალმის ქვეშ, და ჩინური ჩაის  
შევეძლეოდით.

ერთად ერთი ნიეთი, რომელიც ბარონ როსტრუ-  
პის აღმოსავლეთურ გემოვნებას ჰმოწმობდა, ეს  
იყო პორცელანის ჭურჭელი. ჩაის ჭურჭელი, რომე-  
ლიც თჯახის დიასახლისის დიდ-დედის ნაშენთ-  
ვარი ყოფილი. სამ თაობას უსეამს ამ საოცრად  
მოხატულ თასებიდან სურნელოფანი ჩაი. და ეს  
თასები პეპლებით, ყვავილებით, ზღვის ლინკილე-  
ბით, მშევნიერი ჩინელი ქალების გრძელი მართ-  
სებურ წიმწამებით უცხოდ მოხატული, რაღაც ვინუ-  
საზღვრული 1 იყეაზულის სავანი იყო ამ თჯახში.  
მე ვერ წარმომედვინია, თუ ადამიანის სიყვარული  
უქასაკი სავანისაღმი, უფრო ნაზი იქნებოდა! ვინაიდან  
ბარონ როსტრუპის მთავარი დებულება იყო: ახალგა-  
ზრდობას ცუდი აღმრდა აფუჭებს, კარგ სურათებს—  
უგემური მიშტერება, კარგი ჩაის—უუდი ჭურჭელი.  
როვორ უყვარდა ჩაი ბარონ როსტრუპს!

მას სპეციალურად შეუსწავლით ჩაის მოყვანის საქმეზ  
ჩინეთში. მე მკონია, რომ ყოველი ერთ, და ყოველი  
პიროვნება ყოველდღიურ წერიმალებშიაც ისე ამ-  
გარად იჩენს თავის სულიერ სახეს, როგორც თავის  
ფილოსოფიისა და მწეოლობის უმნიშვნელოვანების  
ძეგლებში. ცხოვრება სხვა რალაა, თუ არა და სავ-  
ნებისადმი დამოკიდებულების გამომედავნება. ადა-  
მიანიც წერიმალში იჩენს თავის ხასიათს, რადგანაც  
დიდ საქმეში მას არაურის დამალეა შეუძლია  
ბარონ როსტრუპი კარგად იცნობს ჩინეთის ტანგ,  
სუნ და მინგ დინასტიის დროის ჩაის კულტურას,  
მთელ ბოტანიკას ჩაიშე დამკარებულს.

„ჩაის ათასნაირი პირდაპირი და სიმბოლიური, რე-  
ლიგიური დანიშნულება აქვს ჩინეთში, დაიწყო ბა-  
რონ როსტრუპმა. ტაოისტების აზრით ჩაი უკადა-  
ების ერთი მთავარი ელემენტთავანია“.

მაღამ როსტრუპმა სახურავი აქხადა ჩაიდანს. მე  
ახლად დამდგარ ჩაის სურნელება მეცა სახეში, თვა-  
ლი დავჭუქე. მესმის თუ როგორ ივსება მაღამ როს-  
ტრუპის შევენიერი პორცელანის თასები სურნელო-  
ვანი ჩაით.

ბუდისტებისათვის ჩაი მათრობელი საშუალებაა  
მათი მედიტაციის დროს. ვანაგრძო ბარონ რო-  
სტრუპმა. სამხრეთ ჩინეთის დინასტიის პოეტების  
ფრაგმენტები მინახავს, საღაც ჩაის დითირამბებს  
უმღერიან.

ჩაის ნეტტიტის ლიკლიგა წვერის ეძახის ერთო  
პოეტი. ჩაის მაღიდებული მოციქული ლე ივ,  
თავის ცნობილ თხზულებაში „წმინდა წიგნი ჩაისა-  
თვის“ ბულაზმისა და ტაოიზმის სინტეზებს გვა-  
ძლიერს.

დღესაც ჩინელ ჩაის ვაჭრებს პოეტი ლე იუ თავის  
მთავარ კერპად ჰყავთ ალიარებული...

მე ვაშტერტლები მაღამ როსტრუპის წინაშე მდგარ  
თასს. ივი ყვავილის ყელიერი ნაზია და სიტრიფა-  
ნა! განსაკუთრებით ის თასი მიუკარს, მაღამ როს-  
ტრუპის ტუჩები რომ ეხება ყოველ საღამოს.

პირ საკეირველებავ, ისეთი ადამიანებიც რომ მოი-  
პოვებიან, რომელთაც მატერიაში სულის ჩარგვაც  
ეხერხებათ!

ერთ საღამოს ბართნ როსტრუპისას სხვა სტუმრე-  
ბიც იყვნენ. სასაღილო თოახში მაჟავონის სუფრაზე  
ახალი ჩაის ჭურჭელი ელავა. საუბარი პოლიტი-  
კურ თემებზე იყო. მე სულ ვაჩუმებული ვიყავი,  
რადგან ისეთი სავნების შესახებ იყო ლაპარაკი,  
რომელიც ჩემ გულს აჩაუერს ეუბნებოდნენ. მე  
ესდუმდი. ალარ მესმოდა თხელი, ბუმბულიერი მსუ-  
მუქი ჩაის სერვიზის ნაზი წერილი. ჰაეროფანი  
ხმა ძეელი ჩინური კულტურისა. მის ნაცელად სუფ-  
რაზე ვხედავ ტლანქ, უხეშ, ევროპიულ ფაბრიკაციის  
ჩაის ჭურჭელს.

ომმა ცხოვრება გააძვირა „მონ შერ ამი“, ცხოვრე-

პა შეუძლებელი ვახდა. ჩვენსას ერთი ამერიკელი ეურნალისტი იყო, მან დიდი ფული შემომთავაზა ჩვენს პორცელანში ნიუიორკის ერთ მუზეუმისთვის მეტი ვწა არ იყო, უნდა გაგვეყიდა... მითხრა ბარონმა, როცა დამიმარტოხელა სალონში. .

უნდა გაგვეყიდა!

როცა ამას მიამბობდა ბარონ როსტროპი, მე ეხე-  
ლავედი თუ როგორ ვაულურჯდა მას ტექის კუთხები. კველაფერი ისეთის კილოთი, ნალელიანი სახით  
მიამბო, თითქოს ვიღაც გარდაცველილიყო ოჯახში.  
ლამე შენ რო ვბრუნდებოდი, გულზე ლოდიერთ მა-  
წვა ორიოდე საათის წინ ვაგონილი ამბავი.

მშეიდობით, მშევნიერო სალამოებო ბარონ როს-  
ტროპის ოჯახში, მშეიდობით ჰაეროვანო ჩაის ჭურ-  
ჭილი!

— შენც ფეხი შესდგი, მეგობარო, უკულტურობის  
მოლიპულ გზაზე, ქალალდის ნაგლეჯებით მოფენილ  
გზაზე. შენც...

რამდენი სიყვარული, რამდენი ჯაფა მოუნდებოდა  
იმ მშეიდობიანობის მოყვარულ ჩინელს, ამ თხეი-  
ოდე საუკუნის წინად, შენი პორცელანის ფორ-  
მებისა და ფერადების მოხავონებლად.

შერე რამდენი სიყვარული მოიმეო მისმა ქმნილე-  
ბამ შენი ცოლის წინაპრებისა და შენს ოჯახში,  
რამდენი სულიერი სიკეთე და სათნოება უნდა  
ვამოეჩინა შენ მიხლობელთა ხელებს, რომ ამ პორ-

ცელანის სათუთი, ოხეული ყუჩწის მზგანა და-  
საკიდი არ დაემსხვერიათ...

და შენ ერთ წიმში ხელიდან გააგდე ეგა ძვირფასი  
საუნჯე, რომელიც მთელი რასსის, მთელი ეპოქის  
სულიერ სიმღიდრის ჭურჭელიც იყო.

ამის შემდეგ მე ბარონ როსტრუპისას ფეხი არ და-  
მიღიამს.

სად არის ნეტავ ბარონ როსტრუპის პორცელანი?  
აფიქრობ ხან და ხან... ევებ ნიუ-იორკის რომელიმე  
მუზეუმში.

ვე მუხეუმი!

მუხეუმი სხვა რაღაც თუ არა უშეედებელი სასაფ-  
ლაო, სადაც ყოველი ერი, ყოველი ჩასა, თავის  
გრძნობებს შეარხავს... დიდი საფლავი მიცვალებულ  
გრძნობათა, დრო მოკმულ ფერადებისა და რი-  
თმების...

ბარონ როსტრუპის მშენიერი პორცელანიც ალბაზ  
ასეთ ადგილას ასაფლავია სადმე...

## შეხვედრა მქოდართან.

სალამო ქამს ქალაქიდან გაეცედი.

ამოფისუნთქო. შევისვენო. გადავიჩიდილო ამ საშინელ სიცხვებში.

გარე უმნის პარკებს გავსცილდი. იწყება მუხნარი. მაღლობი. ვატყობ ფერდობზე მივდივარ, მავრამ ფეხს ეუჩქარი, მივდივარ ნახევრად ბნელში სულ წინ, სულ ზედით, არც ანგარიშს ვაძლევ ჩემ თავს, საითკენ, სად?

საკეთოურელია სწორედ, როცა არაეინ ვეიჩქარის, როცა არავითარი საქმე არა გვაქვს, არც არავითარი განსაკუთრებული მიზანი, მაშინ მაინც სად მივიჩქარით? სად მიგვესწრაფის სული? როცა ჩეენ გვვონია ვისეენებთ, როცა ჩეენ გვვონია თავისუფლად ვსუნთქაეთ და ბოლოთას ვცემთ, მაშინაც ვიღაც კოფოზე გვაზის და სადლაც მიგვიჩქარებს.

დაბნელდა თითქმის; გაშავდნენ ხის სილუეტები, გაირუჯა ტოტების მწევანე.

მივდივარ გორაკის ფერდობშე, რომლის გადაღმა ცეცხლივით მოლაპლაპე ცისკიდური მოსჩანს. ქარხნის საყვირების ტანების გადაღმა, მეტი სი-

ნათლეა, იქ კუნძული ჩამოვადები და დავისვენდე, ვფიქრობ... ტუში სიჩუმეა, მხოლოდ ორიოდე ლობე-მძერალა უძახის ბნელაში ერთი მეორეს. ჩამი-ჩუმი არ ისმის. აქა-იქ თეთრად ელავს ქალის ტანისამოსი, მერე მოისმის შემე უქის ხმა, მხმა-რი შტოების მტკრევა და ტერციალი. თეთრი სილუ-ეტს ვიღაც თალხიანი მისდევს. ორივენი ისევ იყარებიან ტყის სილრმეში. ისევ მყუდროება და ორი ლობე-მძერალა უძახის ერთი მეორეს.

კიდევ გაიყლეა რაღაცამ, კიდევ ერთი თეთრი და ერთიც თალხი სილუეტი, ეს ქილაქიდან ტუში შე-მოხიზული შეყვარებული წყვილებია, ზღაპრულ აღამ და ევასაეკით ხეთა ჩრდილში რომ იფარავენ თავს სირცხვილისავან... შრიალი, შეშუნი, ტერცი-ალი, უჭუ, უჭუ, უჭუ, უძახიან ეძებენ ერთი მეო-რეს... გუგულია თუ აღამიანი? აღამიანი აღამიანს ეძებს ტყეში. მე კი არავის ვეძებ, არავინ მეძებს. წიპ-წიპ, წიპ-წიპ... იძახის ბნელში ლობე-მძერალა. მე მარტო ვაჩ ჩემ ფიქრებში, მე მარტო მიედივარ ჩემ ბნელ ვზაზე.

კუახლოვდები მაღლობის კორტოს. ერთ ხის ქვეშ რაღაც შავი მოსჩანს, პატარა ხის ძირიას. ვუჩქა-რი ნაბიჯს, ვიღაც დგას მის ქვეშ, ვიღაც დგას ხის ქვეშ და არ ინძრევა. პირი ჩემსკენ უნდა ჰქონდეს შექცეული, კიდევ ერთი ნაბიჯი წინ, ასე მცონია ეს კაცი ვორავის კორტოსზე რომ დგას, დგას იქ

ბნელაში და მე მიცდის. რად მიცდის ეს კატარი  
უნდა, ერთაა? ეგებ ნაცნობი უკონივარ, უნდა მომი-  
ცდოს და თავისი გულის ჭირი გამანჭლოს ლაშე,  
ბნელს ტყეში. ეგებ შევნე და მტერია, ტყეში რო  
მიდარიაჯებს. სულ რაეოდენიმე ნაბიჯი დამრჩა, აბ-  
ლა კი ეხედავ, რომ კაცია. კაცი სდგას. თავშიაქინ-  
დოული.

ისეთი გრძნობა მაქს: ის კაცი უცხის ცურებ-  
ზე სდგას და ძირს, თავის ფეხთან რაღაცას აკირ-  
დება... თავიცე ხელი ჩამოშვებულია.

კაცი დგის ბნელაში თავშიაქინდრული და თავის ფე-  
ხებს უყურებს. ან რაღაც დაპკარგებია, რაღაც და-  
პკარგებია...

კაცი დგას ბნელაში და ბალახებში ეძებს რაღაცას.  
მივედი სულ ახლოს, წინ შევეხეჩე... ის არ ინძრე-  
ვა, ახლა ცხადად ვხედივ, რომ ეს კაცი თოვით  
ჰყიდია ხის ტოტზე, მისი ფეხები ძლიგს ეყარება  
ძირს დატენილ მაღალ ბალახის ქრისტის... თავი  
თავთან მიუტანე, ერთი ნაბიჯიც უან... ხელი მო-  
ავლე სახელოზე, რაღაც უცნაურმა შიშმა ამი-  
ტანა, ხელი უშეი მის უსახსროდ დაკიდებულ ხელს,  
ხელი გაპკანდა და ვამოშქანდა, როგორც საათის  
პენდელი.

დავაცეტრდი და აქცედე მის შეს გადასულ სახეს.  
თეალები თდნავ ლია დარჩენია. სიკედილი ტრიუმ-  
ფით შესულა თეალების ჭიშკარში და სინათლე ვა-

უნადგურებია. სიკუდილის უშველებელი ფრთა მწევს  
ამ კაცს სახეზე....

პატვობისას მინახავს ჩვენი სოფლის სასალაპოს.  
მოედანზე ცხოველის სისხლის ნაწევრს რო დაბლა-  
ლდა გაელილი პირუტყვი, მეც ასე მინდა ვიყვი-  
რო, ვიყვირო, და მთელს ქვეყანას შევატყობინო  
რომ აქ ტყეში, ბნელაში კაცი ჰქიდია ხეზე და არა-  
ვინ იცის.

ეგებ ამ კაცს მოხუცი დედა ჰყავს სახლში. ზის მო-  
ხუცი, თავის ხელსაჭნარს აქეთებს და არც კი იცის,  
რომ მისი შეილი იგერ ჩემს თეალწინ ჰქიდია ხეზე...  
ეგებ, ეგებ...

— რათ ჰქენი ეს, შე უბეჭურა, რათ ჰქენი, რათ  
ჰქენი. შე საცოდავო!

ბნელლება, ხომ უნდა წავიდე აქედან, ხომ უნდა ვა-  
მოვიდე იმ საშინელ სიზმარიდან!.. კაცი ტყეში ჰქი-  
დია და მე ვდგავარ და ვდეურებ. ტყეში სულ და-  
ბნელდა, ყველანი წასულან ქალაქში და ჩემში შიში  
მატულობს როცა გაიიფიქრებ: ყველანი წასულან  
აქედან და მე და ეს კაცი, მე და მკედარი მარტო  
ვართ ტყეში...

ვაცერები მის სახეს, ბნელ ფონხე ვკითხუ-  
ლობ: „ძირს ჩამომილე. მომასევენე შე ქრის-  
ტიანო!“ მე ქვეყანაზე არათრის მეშინია, მეშინია  
მხოლოდ მკვდარის, მიწოდეც მუდამ მძაღლა სასა-  
ფლაო ლამით. და ეს ტყეც ჩემთვის სასაფლაოა

სასაფლაო, სადაც ერთი უპატრონო მკედარო  
კიდია ხეზე.

გავიქეცი, გავიქეცი მე მშიშარა, ისე როვორც მავა  
შეობისას ეკლესიდან გავეცეულვარ ხოლმე. უკი  
ქალაქში ვარ, უკი სინათლეში ვარ.

ჩემი ოთახის კედლებს შევატარე თავი, ვიდრემდის  
ჩემს კარებში თავს შემოვრგივდი, ისე მეგონა მომ-  
სდევდა ვიღაც და მეძახოდა: „ძირს ჩამომილე, და-  
მასვენე შე ქრისტიანო!“

საათმა 12 ჯერ დარევა... ქუჩიდან იუტოს ლმუილი  
ისმის. უტრიალებ, უტრიალებ ლოგინში. თვალს  
ეხუჭავ, გვერდს ვიცვლი, ხან ბალიშს.— მახლობელ  
კათოლიკეთა ეკლესიაში რევავენ. ვიხრიბი  
სიცხისაგან, თვალს ვახელ და ორი სინათლისაგან  
დაცლილი თვალი შემომცერის საყვედურით...  
სასთუმალი, საბინი, საგები ჟველაფერი ცხელია...  
ჩამოვდივარ ლოგინიდან და ცივ იატაქსე გართ-  
ხმული ვისვენებ... როგორ მიამა იატაქსი სივრი-  
ლე! ისე უნდოდა იმ ქაჯსაც, ძირს ჩამომილუ და  
მომესვენებია.

ფუი შენს კაცობას, შე მშიშარა, შე მშიშარა!.. ეწე-  
ვით პირალმა იატაქსე. ეფიქტობ: ჩენ ჟველანი  
საგნების თოქსე ვეიდივართ დღე და ღამ და გამ-  
ვლელ გამომვლელს ველრიჯებით: „ძირს ჩამომილე,  
დამასვენე შე ქრისტიანო!“

1919 წ. ივნისი,  
ბერლინი.

හිම් අවෝන්දාස් අමේඛ් තොශයෙනුල් මි:  
නොනේ ගාම්බාන්තුරුදාස,  
ඇතුළු නොමුණා මුළු.

## ზედმითი განცხადება

**Dies irae, dies illa**

**Solvet saeculum in favilla.**

მნათე ოქოპირ მხოლოდ მაშინ მიხედა „ქვეყანა გამოიცვალა“, როცა დიდმარხეის თრშაბათს, წმ. ზაქარიას ეკლესიის გუმბათზე ჯვარი ვეღარ ნახა. ჯვარი იღარ იყო სამრეკლოშედაც. სოფელი ყოველ წელს უპირობდა შეკეთებას სამრეკლოს და საყდარს. ახლა ჯვარიც მოეხსნათ.

აწვიმდა სამრეკლოს. აწვიმდა საყდარს.

ადამიანი ნელ ნელი ამჩნევს ცულილებას. ცულილება რომ ერთბაშად შეგვენიშნა, ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცეოდა და აჩავის დასჭირდებოდა მეორე ჯოჯოხეთის გამოგონება. მნათე ოქოპირს ყუჩადლებაც არ მოუქცევია, რომ სოფლის მოზარდები „არულის“ ძახილით გამოუსახოდენ მოხუცებულ მღვდელს. აჩავის გაპკეირვებია, სოფელში რომ უარი განაცხადა მღვდლისა და მნათის შენახვაზე. მღვდელი გიოპარსა. თემშარიაზე სამიერნო გახსნა.

თრშაბათ სალამოს ოქოპირიც ეწვია. დალიეს. ძეილი დრო ტექილად მოიგონეს. მღვდელი ნანობდა: „ეს მომგონებოდა. ახლა ჩემი ცოლშვილი ყელმდის დოკულათში იქნებოდა“.

როგორად აპაკუნებდა შეტილსა და წევტიან თვალებს.

ამ ეამაღ სოფელში ყველა ნანობდა. მნათე თქოვის არაფერი ჰქონდა დასანანი. არც დიდი სიხარული, არც დიდი სულიერი ლელვა. რა უყოთ, ოკაცუთი წელიწადი რეკავდა. რეკავდა ცისკარზე. რეკავდა შწუხრზე. სხეის აღვიძებდა. მისი ცხოვრება კი მოსაწყენი და კოშმარული სიზმარი იყო. სიზმარი, რომელიც გამოფხიზლებულს არც მოაგონდება: როგორ იყო? რა იყო? რატომ იყო? ამ ხელობამ უანდერძა მოზრდილი კოტრები თითების სახსრებზე.

ეკლესია დაიკუტა. ორ თევეში ერთხელ წირვის მავივრად „არსენა ყაჩალს“ დასდგამდენ. ხავსი მოედო სახურავებს და კადლებს.

აწეიმდა სამრეკლოს. აწეიმდა საყდარს.

ნახუკარი არ დარღობდა. გლეხებს ჯავრი არ ჰქონდათ. (უხაროდათ რომ გადასახადი შეუმცირდათ). მნათე თქოპირამ ბოსტანი გაიშენა. თასში ერთხელ ძელ ბადეს მოსძებნიდა. რა მნათე, რა მებაღური! ხანდახან ზარების რეკვა მოუნდებოდა. იცოდა: ეს არაეის სჭიროდა. ცხოვრება გამოიცეალა. სოფელში სალოცავად არ ეცალათ. სდუმდა. გულში იკლავდა უმიზნო ეინს. წინად მედავითნის და მნათეს მოვალეობას შეთავსებულად ასრულებდა. მლედლის ხელში მაინც...

არც ერთი ყურშია ძალუი არ ისურვებდა ოქონი-  
რასავით ცხოვრებას. ოქონირა ბედს არ უჩივოდა.  
მისი სულის სიშშეიდე აროდეს დარღვეულა.

არიან ადამიანები—ნება ყოფილობით მკლოვიარენი.  
ისინი არ გრძნობენ არც ძრწოლას, არც მოწყენას,  
რაღვან მათვეის უცნობია დიდი სიხარული. ისინი  
არ გრძნობენ ვლოვას, რაღვან მათ სულში არავის  
დაუთესია იჭვის გესლი. ისინი უკეთეს არ ინატ-  
რიან, რაღვან უკეთესი ვერ წარმოუდგენიათ.

მე მინდა ვიმღერო ნებაყოფლობით მკლოვიარეზე,  
რაღვან ასეთი იყო მნათე ოქონირ.

ოქონირს სოფელი ლენჩს ეძიბოდა. (ლენჩი საშეა-  
ლოა გლახაკასა და ქადაგად დავარდნილს შორის).  
სჩვეოდა ოქონირს—მოუბარს ხშირად ყუჩს არ უგ-  
დებდა. როცა საქმეზე ელაპარაკებოდენ, სულ სხვა-  
ზე ფიქრობდა. სახეზე ეტყობოდა: მის სულს ვნების  
ქარიშხალი არ მოჰვედროდა. არ ეკუთვნიოდა ოქო-  
ნირ ამ ქეეყანას, არც ამ ქეეყანამ დაუდო მას წილი.  
სოფელში ამბავი დაიგდეს: დრო მოვა გლახაკები  
ღმერთს ვაუტოლდებიან. ამ ქეეყნის ძლიერნი შედ-  
რეკებიან და გლახაკები მოისხამენ დოდების პორ-  
ტიორს. არ იქნება არც ღმერთი და ეშმაკი, მდიდა-  
რი და ლარიბი, ქურუმი და მნათე. რაღვან ყოველი  
კაცი თვითონ იქნება თავისი თვეის ღმერთი, ქუ-  
რუმი და მნათე. ასე ამბობდა ქადაგი ტაია.

— ენ იცის რა იქნება ფიქრობდა ლენჩი ოქონირ.

იმედი? იმედი მას ორაოდეს დაუკარგავს, ჩადგან  
ორაოდეს ჰქონია.—

მე მინდა ეიმლერთ უიმედო გლახაზე, რომელშაც  
დიდების პორფირი უნდა მოისხას, რადგან ასეთი  
იყო მნათე ოქოპირ.

ჭანდრის ძირში პატია ყლორტი ამოსულა. გაუხარე-  
ბელი. ნაციები, მზეს დახარბებული. იგი ფერმერთა-  
ლია და ბნედიანი (რადგან მზე არ მოხვედრია).  
იგი სწორია და მართალი (მის თავზე გრიგალებს  
არ გადაუქროლიათ). ჩრდილშია აღზრდილი (არ კი  
ამხელს, რომ მზე ენატრება). ფესვები ჭანდრისა. ფო-  
თლები—ვლექიანის ტუჩები. ლომის ლევეია. კლან-  
ები არ ასხია, მიმინოს თვალები ექნებოდა (სიბნე-  
ლეში დგომას რომ არ დაებრმავებია).

მე მინდა ეიმლერთ სიბნელეში დაბრმავებულზე.

ჩრდილში სდგის, მიტომაც ეურავინ ჰერდავს.

მაგრამ ბედი მოვა, ჩრდილში მდგომებსაც შეარყევს  
შუალამის გრიგალი.

მე მინდა ეიმლერთ გრიგალისვან შერყეულებზე,  
რადგან ასეთი იყო მნათე ოქოპირ.

\* \*

ეს მოხდა დიდ ხეთშაბათ სალამოს. დუქნის წინ ფეხ-  
მორთხებული გლეხები ისხდენ, კარტს თამაშობ-  
დენ. წინა ლაშით ნამთვრალევებს მოწამლულ თევ-  
ზებივით გამოშტურებოდათ თვალები.

ნახუკარს ნაბაზურევზე ესვა.

— რა წავავე ოქოპირ თე წელი რომ ვწირე? ხე-  
ხე, ხე.

ჩემი მღლუცელები ახლა ჩემი მუშტრებია. ხე, ხე, ხე.  
ხითხითებდა. დაჭიებულ, დამძალებულ კბილებს აჩენ-  
და. ნახუკარმა თვალებში ჩატედა მნათეს. ოქოპირა  
სდუმდა. არ იცოდა რა ეპასუბა. მასპინძელს არ  
იამა ფხიზელი მნათის უსიტყვეო მხერა. თოაბში გა-  
იხმო სტუმარი. მხარზე ხელი დაპკრა. ჩიის ჭიჭა გა-  
უცხო. ცალი ფეხი სუფრის კუთხეზე გადღმოავდო.  
ვეებერთელა ფაშეით დაეყრდნო სუფრის. სუფრა-  
კრიალებდა. ნახუკარი ხითხითებდა. ტოვავდა უშ-  
ველებელი, ზარმაცი ტანი. ოქოპირმა დალია. ნათ-  
კიან, ფერმერთალ სახეზე სიწითლემ იელვა. ღვინო  
ემჭეოხა. ლრმად ჩაუენილი თვალები დაუპატარევდა.  
სახე დაემანქა. ნახუკარმა ისევ გაავხო. ბანჯველი-  
ინი ხელი დაავლო გაქონილ ჭიქის.

ჯერ მეათე ჭიქაც არ გამოეცალათ. დუქანში ლრი-  
ანცელი ატყდა. მასპინძელი წესრიგის აღსადგენად  
გაიქცა. მნათემ იდროვა. უკანა კარიდან გაი-  
ვარა.

მის სულში გამოურკვეველი სიხირული ჩასულიყო.  
არ კი იცოდა რა უბაროდა. წელში გამართული.  
აღტყინებული. მსუბუქი ნაბიჯით მიღიოდა თემშა-  
რახე გადახიდულ კოპიტების ჩრდილებს ქეეშ. შებ-  
ლზე წვეიმის წვეთი დაუცა. დასავლეთით პირსის

ლიანი ცისქართი ელავედა იქაციების ბნელი ლანდე-  
ბის გადაღმა.

ლრობლებს მეწამული ხანძარი მოსდეპოდა. ოქოლი  
ქარი ჰქოდა. ოხრილებში გორდები ყიყინებდენ.  
ავდარი იქნება. გიოფიქრა მნათემ. ოქმშარაშე მტე-  
რი ავარდა. პატრიალდა კუდიანი ქარი.  
წვიმამ მოუხშირა. ოქოპირს ისეთი გრძნობა ჸქონდა  
თითქოს ამ სოფელში გზად გამოელილი სტუმარი  
ყოფილიყო. მიუსაფრთხობა იკრძნო. ფეხს აუჩქარა.  
ხად წასულიყო ამ შეაღიძეში. ვისთვის ეამბნა რომ  
მის სულში სიხარული მოულოდნელად შემოიპარა.  
რომ მნათე ოქოპირსაც რაღაც უხარია. ვასხარე-  
ლი რა ექნება ლენჩ თქოპირის, იტყოდენ. შინ წა-  
სულიყო? მოავონდა ახრჩოლებული ქრაქი. მჭვარ-  
ტლიანი ფაცხა. მარტოობა.

ვაზაფხულის სქელი ჯიქანიდან ვადმოსქდა მოზღვა-  
უბული წვიმა. სკემდა სახეში. უხაროდა. მირბოდა.  
ბნელაში, ეკლესიის მოედანშე ჭანდარი მოხვდა თვალ-  
ში. მოავონდა დიდი ხუთშაბათი. ოორმეტი სახა-  
რების კოსხეა. ეკლესიის ჭიშკარი შეაღო. ვიღა-  
ცებს საქონელი შეერევათ ეზოში. ეკლესია ვამოკე-  
ტილი იყო.

აწვიმდა სამრეკლოს. აწვიმდა საყდარს.

აწი ვინ შეაკეთებს სამრეკლოს? ფიქრობდა ოქო-  
პირ. ხელების ფათურით იღოოდა სამრეკლოს ბნელ-  
სა და მიხეეულ-მოხეეულ კიბეზე.

ზარების თოვებს ქარი აფრიკალებდა. მოაელო შე-  
თემ სველ თოვებს ხელი. ჩამორექა თრი პატარა ზა-  
რი. ბზრიალით, წყრიალით გაძქანდა პატია ზარების  
ფოლადის სიცილი.— თრი თეთრი მწევარი გამოუდ-  
გა დაკოდილ ნადირს.— გამხვრიტა, ვააპო მიძინე-  
ბული სოფლის კოშმარული ძილი. თავს ვაღიერელო  
გარინდებულ, გამურულ ფაცხებსა და ქოხებს, შეაჭ-  
რო მღელვარე თხემლნარი. ვაღიერდა მიყრუ-  
ბულ ლელეში. ვაღიაკარგა ქარიან ლამეში ნათქვაში  
ზღაპარი.

მოვარდა ქარი ქლოშინით, აქოსრიილი, ხახადალებუ-  
ლი ძე მგელი (რომელსაც პატარები მოჰქმარეს ბუ-  
ნავიდან) ეძგერა სამრეკლოს, შეარყია, შეანჯ-  
ლრია, შეატორტმანა.

ავრიალდენ, აწრიპინდენ კოპიტის კიბის საფეხუ-  
რები.

მნათე ოქოპირამ ცერზე დაიხვია თოვი, ჩამოქსწია,  
ჩამოქრა ფრთხილად სხვა, მოზრდილ ზარებს. პა-  
ტარა ზარები გამხნევდენ. აწყრიალდენ ხელმეორედ,  
აულარუნდენ, ამღერდენ, კოტრიალით ვაღიარბინეს  
უაცხვების, კოპიტების, ალვების მღელვარე ქოჩორ-  
ზე. პირში მიეარდენ ფაფარ აშლილ ქარს უწივ-  
ლეს უურებში. გააპეს ნესტიანი პაერი. სიცილით,  
კისკასით ავჭრენ უაში და ქაოსის კალთაში ჩაეძი-  
ნათ ნებიერ, უკოდველ ბაჟშვებს.  
იშტლავრა ქარმა.

ოქოპირმა მესამედ დაარისხა.

ზარები იმღერდენ, აუღერდენ, აწრიალდენ, ჰაერში გაიფანტენ დამტრითხალი ლამის ფრინველებით ჩიტკვით და ფარფატით ჩამოუშეენ ისევ მიწაზე. დაბალნი. ქედმოხრილნი, მორჩილნი ეახლენ უჯათ შტერს. დაცუენ მუხლებზე, იტირეს, ივავლახეს, ფეხები დაუკუნეს და შენდობა სოხოვეს ცოტიან ქარს.

და ქარი მოვარდა წვიმების საღავის ვეღური ტლა-შენით. შემოჭერა რეგი ფრთა სამრეკლოს გუმბათს. შეირყა. შეინძრა. აკენესდა საძირკველ დამპალი სამრეკლო. მეზარემ იცვალა აღვილი. რაღვანაც სახეში აწევიდა.

აწევიდა სამრეკლოს. აწევიდა საყდარს,

და როგორც ოცდახუთი წლის წინად. პირეკლად დიღხუთშაბათ ლამეს, მოუქნია მნათემ დიღსა და პატარის ერთად. კენტად და წყვილად, წყვილად და კენტად. დიღები დრო დროზე, სულ უკან მდგარნი. პაწია, წერიალა, ჩერიალა ზარები უფროსებს ხან და ხან წინ ვადაუსწრებდენ. იცდიდენ, ელოდენ, გულს მოიმაგრებდენ, ეელს ვადაირბენდენ, კვლავ შეჩერდებოდენ.

ლუწი და კენტი, კენტი და ლუწი. დიღი და პატარა, მსხვილი და წერილი ერთბაშიად შეჯულდენ, შეღედდენ. შეერთდენ, ხმა ხმაზე მიიწყენ, ხელი ხელს ჩაქიდეს. გამქანდენ, გაიკრენ, ეძვებენ ქარს.

დღიმულშია რაშებმა სადავე გაქსწყვიტეს და ხმლები  
იწიშელეს შე ჩოხიანებმა, გაპქანდენ უშიშრიდ  
მიეჭრენ თხემლნარს, რომელიც ისედაც ქარს სა-  
ლიმს ძლიერდა.

უშტი და მრისხანე თვალებით ექებდენ მტერს.  
ქარს ფერი ვაუკრთა. ნაცემი, სველი ფრთა ძლიერ-  
ვადაათრითა და შევი ილამი დაკეცა ველზე. დაჭრი-  
ლი ადირი ვარბოდა სერზე. შშიშარა, ლიაცი ჩა-  
საფრდა ხევში.

აწვიმდა სამჩრეკლოს. აწვიმდა საყდარს.

ვაღმოლგა თხემილან ზაენაბალიანი. შემოჰყრა ლუ-  
რჯას, გრიგალი ფშტევენით და ლრიალით მოედო  
სოფელს. და მისწყდა პატარა ზარების რთალი.

ატოუდენ. აბორგვდენ. აზვავდენ. გაბრანდენ. აბუ-  
ბუნდენ დიდი და მრისხანე ზარები,—შევი ტყის  
მდევები, რომელთაც უმცროსი ძმები გაულახეს—,  
ავრიალდენ, ახმაურდენ, და მძიმე აბჯარის რაჩუ-  
ნით გვეარდენ შორეთის საძებნად. დაიქშინა. დაი-  
ლიულა. დაიფრუტუნა. და ქარი ფარფატით, ბარ-  
ბაცით დაეცა მიწაზე—სარმა გამოკრული ფალავე-  
ნი. წყმუტუნით, წივილით, ლრიალით გაიქცა თა-  
ვის კუდიან დედასთან. მექრდში ჩაეხუტა და ქვი-  
თინი მოჩოთ გალახულმა ქარმა.

და თალსმა ლრებლებმა გზა მისცეს მოვარის  
კრისტალის კუბოს, რომელსაც თეთრი ბალდაზინით  
მოსსენებდა მტირალა ქარი.

გასწორდა ოქტოირ წელში. სადაც მიშვებული ზა-  
რები მღეროდენ, გალობდინ, მთერალი ანგელოზები,  
მიქეროდენ სულ მაღლა. და გაიხსნა ნათელი, რძის-  
ფერი გზა მეზარესა და ცას შორის.

ნარობდა ოქტოირ, მისი ალტყინებული სული ფო-  
ლადსა და რეინას ვალობებდა. ამღერებდა, დაეპ-  
გულ, დაუნჯებულ ზარებს. მიქეროდენ აწყვეტილი  
ზარები გრიალით, კისკისით, ხარხარით ზეცისკენ,  
ვალობდენ დიდი და მაღალი ხმით რისხეისა დღე-  
ზე. ცას ლიმად გაეცრა ნათელი ზოლი.

უკოდეველი მთვარე თეთრ ლრუბლის საგებზე იცი-  
ნის ვით ჩეილი ინუანტი მწყემსების ბოსელში.

მთის ზუჩის გადაღმა გადაჭხტა ცაცხლისა ვალი,  
ვაბზარა, გაეაწრა ცისფერი ეტრატი.

ვინ იყო ლრუბლების გადაღმა? სატანა, თუ ელფა?  
ვაბხედა სოფელს. რა პატარა ბუდე ყოფილა! და-  
ბალი—ჰანდრები, და ალეის ხეები. რა მოყლე სი-  
ცოცხლის ნახევარი გზა!

ამ მაღალ ზეცისთან, ამ ძლიერ გრიგალთან სულ  
ჟელა დაბალი და სუსტი ყოფილა.

ცაცხების საფარით მოვარდა გრიგალით, ვაშალა  
მან შეე და სველი ფაფარი. ეძეერა სამრეველოს  
და შეარყია. ხშუილით, გრიგალით, ზატქით და ვი-  
შით მიქეროდენ ზარები უსაზღვრო სიერცეში. ცა  
ილუშებოდა, და მთვარე დნებოდა ანთებულ ლრუბ-  
ლების ცხელ ნალექრდალშე. ეს იყო. მოვიდენ მე-

ზარის საფულავეშე ათასი წლების მიუვალდული  
იტირეს. იგლოვეს. ვინც გლოვად არ ღირდა და კა-  
სი სიცოცხლე მოლად იყო გლოვა. და მთელი ცხოვრება ფიქრობდა ოქროპირ. ჩა იყო  
თუ არა ზღაპარი ხან შოულე. ზარების ჯარები  
ფოლადის აბჯარში, მდევები უშიშო, თავვამეტე-  
ბულნი მისდევდენ გრიგალის გაფრენილ მერნებს.  
მოქარიდენ მთვარისკენ ლრუბლების გუმები იღის-  
ფერ სისხლით გამორულ აფრებით და პირქვი ეკი-  
და იქსო ზეცაში, ლრუბლების ანძაზე ვით მავნე  
მეკობრე. გრიგალი მოახტა ცაცხვების ქეჩოს ვით  
მალი ფოცხვევი სისხლს მოწყურვებული. გასდრი-  
კა წელში მძლე გოლიათები. სამრეკლო ტკრუა-  
ლით შეირყა. გაპქინდა. ტორტმანით დაეცა მიწა-  
ზე. რიგრივი მოვიდა. მუქლურჯი ზეცა გაფხრინა  
ცისეარის ნათელმა ლიმილმა. აუშეა აერორამ ცის-  
ფერი ეტლები ეთერის უფსკრულში ტრიუმფით  
აჭრილმა. გაიბნა, გაფიტრდა ცის ლურჯი ფორმიჯი  
და ნაზი მიმქრიალი ლრუბლების მარმაში ილექტოს  
სევდით დაპუერა მზემ. ცის კიდურს მოეხსენ გაშ-  
ლილი აფრები შესკურდენ ფირუზის ერცულ რე-  
ანებში.

ციგლიგით გაიბნენ ვანდრებში, ცაცხვებში ზღვის  
შერცხლის, შოშიის, სკეინჩების გუნდები. მზინაედენ,  
ბრწყინავდენ წყლის ბრილიანტები მწვანეზე მოლზე,  
ცაცხვების ფოთლებზე.



ორი ანგელოზი გაფრინდა ეთერში.

— რა მჩატე ყოფილა საბრძოლო მეზარე!

— მჩატე რომ ყოფილიყო ასე მავრად დაეცემოდა? მიუგო მეორები. ცის შიერიებმა თვალი მოჰკრეს შორეულ პატიოპლანს. შეეშინდათ პროპელერის უხეში ფრთების, ერთმა მიაშურა განვის ნაპირად მდებარე პარადიზს, საღაც მარადიული მხე ანათებს და უკუდველი მეოქნებენი მოქნარებით კვლებიან. მეორემ გასწია სულეთის გადაღმა, საღაც სულის გამყიდველი და სულწასული შანთებზე სხედან, ელიან ხელმეორედ ცაცხლში მონათვლას. არ ვიცი სად წაიყვანეს მნათე ოქოპირის საბრძლო სული.

ჩემთვის ეკითხათ

შე ვატყოდი: ასწიეთ აღამიანი, მაღლა სულ მაღლა. და დასკით მნათე ოქროპირ ადონის მარჯვენა მხარეს, რაღვან სიბნელეში დაბრმავებულ ერთხელ მაინც იგრძნო აღტაცება და ექსტაზი დაიღუძა.

შე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულებზე.

მთელი თევე ეგდო წაქციული სამრეკლო წმ. ზაქარიას ეკლესიის ეზოში, როვორც მეცდარი ღმერთის უშეელებელი, უპატრონო ცხედარი.

აწევიძა სამრეკლოს. აწევიძა საყდარს.

ტელეტი, 1924. მაისი.



ବେଳିପ୍ରକାଶ ତଥା ପ୍ରକାଶକାଳୀନ ପ୍ରମାଣବିଦ୍ୟା.

## ფოტოგრაფი.

1.

შეშეიდე სართულის ფანჯარა პარიზში —  
 (უბატქონო მიცემულებულის თვეაღმყოფი ღთა დაზიენილი).

ქუჩიდან ავტომობილების, ტრამვაების, ომნიბუსების ზმული.

ფოტოგრაფი იდგა. ელექტრო ჩაქრო. ფანჯარასთან მიერიდა. ღაქანცული შექი შემოვიდა. თაროს დაეყრდნო. უაზროდ ვასცემოდა. ტელეგრაფის მავრულებზე ქვიქვირ ჩამოყრილი ბელურები ისხდენ. ტელეგრაფის მავრული ჩანგის ვაწყვეტილი სიმივით ზრიალუბდა. ისიც გრძნობდა დაზამთრებას. ვასწერივ, სახლის სახურავის კოშქზე რეკლამების მარათ ტრიალებდა. „ამერიკული ფეხსაცმელების მაღაზია შეუ...“... „რესტორანი ლამურა. კაბარე“. „ქუიონერული საზოგადოება A. U. K. O.“, „გაფურითხილდით სიფილის“... „ვენეროლოგი რენიე“. ერთ წევში ათასს მცნებას, ათასს ციფრს, ათასს სახელს ისეროდა ელექტროს ბორბალი. ჰქონებოდა. ენთებოდა. ისევ ქრებოდა. ფოტოგრაფს მოსწყინდა უაზრო სანხხაობა. საათს დაბედა. ფან-

ჯარია გაიხურა. შეზლონხე მიევდო. არ ეძინებოდა  
ხომ საშინელი გადასატანია დღე და ლამის გაურია. მისთვის უმძიმესი წუთები იყო მუდამ: შებინდებო-  
სას. თვალდახმაჭული იწევა ნახევრად ფხიზელი, ნა-  
ხევრად მძინარე. და მის ტანის უჯრედებში ნებსე-  
ბივით შედიოდა უახრო, უსიიმოვნო, უნუგეშო ხმა-  
ურობა. წამებაა როცა ისეთი რამეები გესმის, რისი  
გაგონებაც არ ვინდა... ჩისთვლიშა.

ფანჯრიდან შევი ფრინველი შემოფართატდა. თალ-  
ხი ფრისით შესულია ფოტოვრაფიულ აპარატშე  
წამოჭდა. ფოტოვრაფი წამოვარდა.

— შევი მეგობარო! ამბობდა. ცველა მძინარეები  
რომ უცებ გააღვიძო, გული გაჯსქდებათ. ფრინ-  
ველი სდუმდა. ფოტოვრაფშია სიჩქმე ვეღარ აი-  
ტანა. მუხლებშე დაეცა. იტირა. შეერდომება ით-  
ხვეა.

ფრინველი ამჰარტავნად იჯდა შეს პიედესტალზე,  
როგორც მკლოვიარე იმპერატორი და წინასწარმე-  
ტყველები იერით ამბობდა: „ფოტოვრაფმა არ უნ-  
და იცრუს, რადგან ფოტოვრაფი ერთად ერთი  
კაცია ამ ქვეუნად, რომელიც არ სტუცის“. ფოტო-  
ვრაფს ენა ჩაუვარდა. მიბრუნდა. შეზლონხე დაე-  
მხო. ორივე ხელები თვალებშე აიტარა. და უიქრდა.  
ფრინველი ქუჩდულად ჩამოცოცდა აპარატიდან.  
კარადიდან ერთი ფოტოვრაფიული სურათი გამოი-  
ლო ნისკარტით.

— ეს ქერთ ქალი შენი საყვარელი არ იყო? ფოტოზე  
გრაფს ტუშილის თქმის შემთხვევა, გაჩერდა. ლამაზ  
იყო. ვინ არ დაიჯერებდა მკვდრების ალდვობას? ა  
ფრინველი ლრებლებს გადაღმა გადაეშეა, როგორც  
უიმედოდ შეყვარებული ავიატორი. (თან წაილო  
ქერთ ქალის ფოტოგრაფია).

ყველგან, საღაც შევი ფრინველი მივიღდა, ქართი გაუ-  
ჩინდა საქონელსა და ადამიანებს. ან ამბოხება იტყდა.  
ქალები ვაეცებზე მეტი იძადებოდენ. ბოლოს: ქა-  
ლები სიძეის ისტერიით სწყდებოდენ.—ამაზე დიდი  
უბედურება ჯერ არ უნახავს ქვეყანას. ამბობდენ  
მოხუცები.

დილით ადრე ზარის ხმა შემოესმა ფოტოგრაფს.  
ფოსტალიონი ეგონა. ქართი გაუღო.

ყვითელ სათვალებიანში კაცმა ქული მოიხადა. დაბ-  
ლა თავი დაუკრა. გამოირკეა: სტელლას მამა ყო-  
ფილა.

ფოტოვრაფს უსიამოვნო ქრუანტელმა გაუტბინა  
ტანში. იმ კაცს წარჩის მშვილდი, ცხეირი და თმა  
სტელლას მიუვაედა.

რა საშინელებაა: ადამიანი ცოცხალი იყვე... თმები  
მიცვალებულს მივივაედეს.

ფოტოგრაფმა იტირია. მაგრავდ ჩამოართვა ხელი სა-  
თვალებიან კაცს: რა ქარგია, რომ სტელლას ჰგავ-  
სართ. გაჩერდა. შევი ფრინველის ნათქვამი მთა-  
ვონდა.

— ჩეენ ჩვილანი მიცვალებულებს ევივართ. ჩატვა  
მოხუცმა გუდუივად. ცვითოლი სათვალეები ჩაშო-  
ლო. მას ცრემლები მოსდიოდა. სათვალეებს დაკ-  
წყო ცხვირსახოცით წმენდა.

— თქვენ ალბად მალე წახვალთ თქვენს სამშობლო-  
ში... სტელლა მიწაში დარჩება.

— რასაც ცოცხალი ვერ ზიდავს...

— ყველაფერი მიწაში დარჩება. რა თქმა უნდა.  
წაილელლულა სათვალეებიანმა კაცმა... ფოტოგრაფია  
შენიშნა: ამ კაცს იოდოფორმის სენი უდიოდა.

— თქვენ ფარჩიაცევტი ხართ?

— „არა“. სათვალეებიანმა მიიხედ-მოიხედა. თითქოს  
რაღაცას უძებდა. რაღაც უნდოდა ეთქვა...

ფოტოგრაფი დაინტერესდა: რა კაცია ნეტიავი? სა-  
თვალეებიანი გაბრუნდა. კარი გახურა. სალაშიც არ  
უთქვაშს. ფოტოგრაფი კარის ჭუპრულანას მივარ-  
და. მოხუცი კიბეზე ჩარბოდა. ქუდი და ქოლგა-  
ხელში ეჭირა.

— წეიმა მოხულა. გაითიქჩა ფოტოგრაფმა. ფანჯ-  
რიდან გაიხედა... მართლაც ცა მოღეშულიყო. ნა-  
ღულიანსდ და უმოწყალოდ სწეიოდა. ფოტოგრაფმა  
კარები გააღო. მოხსნა თავისი საღარბაზო ბარათი.  
მის შავიცრად პატარა ქალალდი გამოაყრა: „ფოტო-  
გრაფი ბრეტიანში წავიდა დასასვენებლად. გთხოვთ  
აღარ დარეკოთ“. კარები ჩაიკეტა. ფანჯრის დარა-  
ბები დახურა. დაიძინა. კედლის საათმა ჩვაჯერ და-  
ჟერა. ფოტოგრაფმა ელექტრო აანთო.

კიდევ ერთი ლამე.

აიღო ქუდი და ძეელი ქოლგა. დერეფანში ვიწიდა.  
ისევ შემობრუნდა. ლიფტის გასაღები დაეიწყო-  
და. ნელ ნელა მიდიოდა სულ ქვევით, სულ ქა-  
ვით. იღუპებოდა. იძირებოდა ამ გრანიტისა და  
ბეტონის სახლებში. თავი მაღლა იღო. ელექტროს  
თვალი მიაშტერა. შის სულში უშველებელი სინა-  
თლის ტალღა ჩაიფრქვა. ლონე მოემატა. ლიფტი  
გაჩერებულიყო. ციფ რაზას ხელი წაავლო. ძალა აღარ  
ჰქონდა. ისევ იგრძნო შეხეთული პაერის სიმძიმე.  
მუხლები მოაყეცა. ციფი თელი გადაასხა. ძალლონე  
მოიკრიფა. ორივე კარი გადალო. ქუჩაში წვიმის  
წინწყლები დაჯვა სხევჭე. ქუდი მოიხადა. ანგარიშ-  
მიუცემლად კუთხემდის მიაღწია. ომოდენიმე აეტო  
სოელემდა. მწვანე და წითელი სინათლე ცისარ-  
ტყელასაეით კაფობდა მახლობელი დაქნის ვიტ-  
რინაში. თვალი მოსწყვერა შექმა. ყვითელ ჯუბია-  
ნი შოფერი თვალწინ აეტეზა. თქვენი აეტო ბენზი-  
ნით მუშაობს? — არა, ელექტრონით. შეორეს მიუ-  
ახლოედა. შოფერის ეძინა.

— დიდი ბარონი უნდა იყოს ეგ კაცი. უთხრა შო-  
ფერმა თავის თანაშემწევს. — აღბად ნერეებ აშლილია,  
ელექტრონის აეტომობილი... დაანჯლრევს.

— ტრიანონის ქუჩა. წაიბურიბუტა ფოტოგრაფმა და  
ავტომობილის კარი გამოაღო.

ფოტოგრაფი ფიქრებში ვაერთო. ავტომობილი

გაჩერებულიყო. — „ჩამობრძანდით. ეს გახლავთ ტრი-  
ანონის ქუჩა“.

ეკლესიებივით გაჩირალდნებული რესტორანები.  
ფოტოგრაფს მეტი სინათლა უკვეარღა. ერთი რეს-  
ტორანიდან მეორეში ვაღადადიოდა. ვარიეტეს კირსე  
გრძელი, პატრიარქალურ წვერებიანი მეცარე იდ-  
გა. ფოტოგრაფში ქუდი მოიხადა. რესტორანში  
შევიდა... სივარის ბოლში შეზარხოშებულ ქალებისა-  
და კაცების ატკეცილი სახეები. ფეხშიშველა შან-  
სონეტები უდარდელად როკავდენ. ერთი წითელი  
ქალი უცნაურად მღეროდა, შოშიის ბარტურეიოთ  
უმწეოდ ალებდა პატარა, წითელ პირს:

„როცა მერცხლები ისევე მოვლენ,  
თქვენ ნახეთ მაშინ, თქვენ ნახეთ მაშინ“...

ფოტოგრაფს სიტკებოებისავან თვალი მიეღლება.  
ლოუის სავარქელს ვაღადაყრდნობილი უსმენდა... ქალი  
მთელი თავისი არსებით, ვნებიანად მღეროდა. ისე  
უმწეოდ ალებდა პირს, თითქოს გაზაფხული ჩაე-  
მწყვდიათ მის სულში.

„როცა მერცხლები ისევე მოვლენ, თქვენ ნახეთ  
მაშინ, თქვენ ნახეთ ზაშინ!“ საზოგადოებაშ თვა-  
ლიები გაუმართა. ქალი მეორეჯერ აღირ გამოვიდა.  
ერთბაშად პლაკატი: მაღმუაზელ ლოტი ხეალ სალა-  
მოს იმღერებს.

მეორე აქტი. კაბარეში დიდი ზეიმი გაიმართა. აბე-  
სინიის თავადი ჩამოსულა: იგი ნებიერიდ წამოწო-

ლილიკ მუთაქებითა და ხავერდის მაღიშებრი  
მოფენილ ტაბტზე, გრძელ ჩიბუს ეწეოდა. მის გარ-  
შემო მწეანე შლეიფიანი ზანგის ქალები ცურუბულები და-  
დიოდენ. ცუკვავდენ. ხტოდენ. როკავდენ. მათ რეინის-  
ფერი ძუძუები უჩანდათ თხელი ქისაიის სამოსელიდან.  
ხელში ნიანგის ტყავის დაირები ეჭირათ... უცნაურ  
ლექსებს მღეროდენ. ერთი ზანგის ქალი მოწყენილი  
იჯდა რამპის ახლოს. მას ფარშავანგის ფრთა ჰქონ-  
და ნესტოში. ფოტოგრაფს მოეწყინა... მან სალამოს  
ვაზეთი ამოილო, თვალიერება დაუწყო. ლოეის კარი  
ვაილო. ფარშავანგის ფრთიანმა ცალი ფეხი შემო-  
დგა. სადაფიგით თეთრი კბილებით შემთანათ და  
კელური ხმით დაიძახა: ალრაუნა. ფოტოგრაფს გა-  
ზეთი ვაუკარდა ხელიდან. წამოდგა. ხელი უნდა  
წაევლო, ქალი კისკისით ვაძქჩა. ბრძოში იტიია.  
ფოტოგრაფმა ვაიფიქჩა: როცა ნიანგებზე სანადი-  
როდ წავალ, ჩემს საკოლეს ალრაუნა უნდა დავარ-  
კვა. მასაც თეთრი კბილები ექნება და რეინისფერი  
ძუძუები. კელური ქალი სისხლს ავაბუცებს. შანსო-  
ნეტები გრიგალიერი მოედევენ პარტერს. ყველას  
წითელი დაირი ეჭირა ხელში. სცემდენ დაირს და  
მკეხე ხმით იძახოდენ: ალრაუნა, ალრაუნა, ალრაუ-  
ნა. აბესინიის თავადი წამოდგა... მიეიღა ფარშა-  
ვანგის ფრთიანთან. ხელი წაევლო. მუხლზე დაიჯი-  
ნა. ფოტოგრაფს გული მოუკიდა. ანგარიში მოი-  
თხოვა...

ჭრიაში, ჩესტორანის კარებთან აუარებელი კოდ-  
ტები ირეოდენ. წავის ბეჭვიანი გამოქვება: Allons  
Cheri. ფოტოგრაფმა გზა აუქცია. ახლა შას გამო-  
დენიმე პორნოფრაფიული სურათებით მოვაჭრე გა-  
მოუდგა. ერთი მათვანი თეხდა ფეხ მოსდევდა, ჩუ-  
მად ბერტულებდა: „ამურული ივანტიურები“.

ფოტოგრაფი იუველირის ვიტრინასთან შესდგა.  
ელექტროს მარაოზე უსეალავი ბრილიანტები ეღუს  
სისწრავით ტრიალებდენ... მირიადი თეთრი და  
მომწვანო სხივი აღმასის შადრევანებად სჩექლდა...  
ლაპლაპებდენ, ელავდენ, ბრწყინავდენ, კიაფობდენ,  
კისკასობდენ ბრილიანტები და ფოტოგრაფის ვულ-  
ში იღვიძებდა სიხარულის გრძნობა. კუკოტებმა  
აქაც მოსდიეს ფოტოგრაფს. ისინი მიესინებ იუ-  
ველირის ვიტრინას. აეკირდებოდენ, ნატრიობდენ  
ბრილიანტებს, თითქოს პირველად ხედავდენ. ფო-  
ტოგრაფმა ადგილი გამოიკვალა. უნივერსალური  
მაღაზიის ვიტრინებთან შეჩერდა.

ყოველი ზომის, ყოველი სიდიდის და სიმაღლის  
ქალების, მამაკაცების, ბავშვების მანეუქნები გა-  
რინდებული იდგენ გაპრიალებულ შუშებს გადაღმა.  
იქვე პატარი სარეკლამო აპარატები. პატია ელექ-  
ტოონის მატარებლები, საქონლის ნიმუშებით და-  
ტეკირთული, ჰუჭუსით გამოჩნდენ ტუნკლებიდან,  
მისქრიოდენ. გარს უცლიდენ მინიატურულ კარტონის  
კოშკებსა და სასიხლეებს. იქვე ელავა მტრედის

ფრთხოებით სპეციალი ქალის საცულები, საღამები, პერანგები, პიჯაკები, შარტები, კორსაჟები. ვიტრინების კენ აშერილი წყვილწყვილად ჩამწერილებული, კოხტად მოყვანილი ქალის ფეხები, გამჭვირვალე ფილდიკსის და აბრეშუმის წინდებით, ყელსახვევები, ხელთათმანები, წინდები, კოსტიუმები. გვერდით გამზადებული საწოლი, სასაღილო და სამუშაო თათხები, მაპაგონის ხის ივეჯი, ფერად ქოლგიანი ელექტროს ლამპები. მაღაზიის სიღრმეში — აურაცხელი ფოტოგრაფიული აპარატები ნიმუშით ჩომისა. სამ ფეხებზე მდგარ აპარატებს ქუჩის კუჩის ტუჩები ვამოეშვირათ. ფოტოგრაფი განსაკუთრებული ყურადღებით მიატკიცდა მათ. რა იქნება რამოდენიმე მილიონი აპარატი რომ გააძრიტოვო მთელ დედამიწაზე, ერთ წუთში მთელ ქვეყანას სურათი გადაულო: ქვეყანა სავიუეთს დაემზადება.

ზოგი მიღის. ზოგი მირბის. ზოგი კედება. ზოგი ფეხით. ზოგი ავტომობილით. ზოგი სტირის... ზოგი ვიტრინასთან დასახლდება. მან ფიქრი ვერ დაათავა. გულში გაეცინა ამ ბავშვურ სურათზე.

ზის თეალწინ ჩაიარეს უამრავმა კედლის საათებმა, ტყავის პორტფელებმა, უნავირებმა, პორტმანებმა. ფოტოგრაფი ვიტრინებს მიჰყეა: სპორტის ტანისამოსები. ბერვეული. საყელოები. ქუდები. იქვე ბანკის ბიურო დარინული კარებით. საანგარიშო წიგ-

ნები. კინემატოგრაფის ოცნების საშინეული ნებით. ყველა მაღაზია. მაღალი. წერწერა მახადები ბროლის ვაზებში. თეთრი ჩაის ვარდები. ნარგიზები. გვირილები. ონტეროფერი. (ისე გამოყენებოდენ როგორც ტუვე მზეთუნახავები ამ უაზრობის კალეიდოსკოპში). მახლომლად — აკტომობილების ქარხნის ვიტრინა: შეკაზმული მერჩებივით იღენ და იცდიდენ გაკრიალებული როის როის აკტომობილები. ბისიკლეტები. დიზელის მოტორები. მავთულის მორგვები. სამეურნეო მანქანები. ელექტრო ტენისური ხელსაწყო. შემდეგ: ხილის მაღაზია. ჭიგნები, რომელილაც ვაზეთის რედაქცია. სავიაციო კონტორი. საპარტო ჯარტები. ყვითელი ხის პროცესურები საცოდავად ისხდენ შეშის გაღიერები, — მიწაზე დატანილებული არწივები. შარკების კოლექციები, ათასი ფერი, ათასი ენა, მოელი დედამიწიდან თავმოყრილი, მათ მისდევდენ ფოტოგრაფიული სახელოსნოების, მოქანდაკეების და მხაზევების ატელიეები.

ახალი ვიტრინა: ბურდელის პროექტით აგებული. აზა ჩეკულებრივი ვინაონება. ვამოეფინათ ქანდაკებები. ნილაბები: დანტესი, ბეთოვენის, მეფისტოლეს, ქრისტესი. ორ მეტრიან წითელ კოლონაზე ნაპოლეონის ბიუსტი. იქნება მორ და ჰისე ვარდის-ფერ მარმარილოში. დისკოსის მტკურიცნელები. ბარელიეფი: ნაფირობა. დიანა თეთრი შეძებრებით.

პატიარა ამორეტები. სპეციალურ ფორმების ფართვაზე  
მარშარილობი გაყინული. შეაგრძელები რიპარტდ ეავნე-  
რის ძეგლის პროექტი. ლვინისფერ მარმალიკოს  
პიედესტალზე ვაგნერი იდგა ძოწის ტოფაში.  
მკერდზე მოხარდილი ჯვარი ეყიდა. ხელში არწივი  
ეჭირა. პიედესტალის მარჯვნით ვოლგოთა. სამი  
ჯვარით. მარჯვენა მკლავით ეყიდა ნიშარეველი  
ჯვარზე. მის ფეხებით თრი დაწოქილი ქალი. მარც-  
ხნით ზღვის ზედაპირი. სადაფის ლინკილაზე შემ-  
დგარი აფროდიტე მისცურავდა ზღვაში ჩაშვებულ  
შეისავენ. ნაპირზე შიშველი მამაკაცი იდგა. ხელი  
პირობი მიეტანა, ეძახოდა ტალღებისავან მოტა-  
ცებულ ქალლშერთს.

ფოტოგრაფის მოსწყუბდედა. მან მარცხნით ვადაუხედა-  
რომელილაც დიდი რესტორანის საბრუნავ კარში  
შეჰყვა ბრბის.

უშველებელი რესტორანის დარბაზში ათასზე მეტი  
ქალი და ქაცი ცეკვავდა ფოქსტროტს. ცეკვის ფუ-  
რიას მოხუცებიც გაეტაცნა. შევ ფრიჟიანი ლაქიები  
ელვის სიმარტინი დატრიიალებდენ. კუდმაჟრატელი  
კოდევეში გამოწყობილი კაპელმაისტერი თულში  
იწურებოდა, შეშლილიერი აქნეედა დირიერის  
ჯობს.

ფოტოგრაფმა ვერსად ადგილი უერ იშვეა, ისევ  
ქუჩას მიაშერა.

მოხეიმე ხალხის ტალღა ბარებისა და რესტო-

რანების კარებს აწყდე? თდა. ფოტოგრაფია  
მოდენიმე რესურსანთი შეუხეია, ვერსად ადგილი  
ეერ იშოვა. ისევ ქუჩას მიჰყვა. მან ფეხს აუქი-  
რა. ქუჩაში საშინელი ჭედვა იყო... ომნიბუსები მში-  
ური მკლებივით დაძუნდულებდენ მოედანზე. თუ-  
ცხელი იეტომობილები მოექანებოდენ ფშრევენით  
და ლმუილით. ალაგ-ალაგ გზა შეიკუთხოდა. ქუჩა ვა-  
ჟექებოდა. მაღალ სვეტზე ელექტრონის წითელი სივ-  
ნა - ი ვანათებდა. შევ პელერინიანი პოლიციელები  
ქერუბიმიერით გაშლიდენ კალთებს და წის გადაუ-  
დგებოდენ ავტომობილებს. აბორგებული, იზეავებუ-  
ლი ქუჩის ლანქერი შეტბორდებოდა. ფოტოგრაფი  
შესდგებოდა, ეშინოდა ოთხბორბლიან მხეცს არ  
შეეწირა მისი საცოდავი სული.

ალაგ-ალაგ ივი ვარბოდა, ძლიერ იკაფევდა ვზას.  
პოლიციელები კი ისევე დადიოდენ ავტომობილებ-  
ში, როგორც ითანე ზედაზნელი მხეცთა შორის.  
ფოტოგრაფი ნახევრად ბნელსა და ვიწრო ქუჩაში  
მოხვდა. მან ვარებო ვერ იქნო. როგორც სჩანს  
მხარი ამექეცა - ვაითიქრა. დაიქანცა. მუხლები ვე-  
ცებოდა. თვებრუ ესმოდა. საიდგანლაც ნაფტალი-  
ნის სუნი მოდიოდა. ვიტრინებს თვეალიერება დაუ-  
წყო, არსად აფთიაქი არ სჩანდა. ქუჩიდან სკერტში  
მოხვდა... სკერტის მოედანზე უშველებელი თუჯის  
ცხენოსანი. პარკის სკამებზე ვიღაცები შენიშნა.

ქალები მამაკაცების მუხლებშე ისხდენ ხმის ამოწლებლად. შეაგულ პარქში გახის ფანრის ქვეშ წითელი მარმარილოს ამური იდგა მშეილდმოლი რალი. ვასწვრივ შადრევანი სჩედდა. უშველებელ თეჯის სირენებს აუზიდან თავი ამოეყოთ და სულ-ვანაბული ყურს უგდებდენ პარქში ჩასაფრილი სიყვარულის ღმერთის ენა არეულ ჩურჩულს.

შეაგულში პოსეიდონი ამართულიყო—ზღვის მეამბოხე, გარშემო ტრიტონებისა და ზღვის ფერიების კარნავალი. ფოტოგრაფმა დალია წყალი. ისევ გზას გაუდგა. სკერის ბოლომდი ჩამწერივებულ კლოზეტების ბუტიკშე ყვითელი პლაკატები: „სიფილის გაფერობილდით! იხმარეთ სარანკოლი“ კარბოლის სიმეავის სუნი ეცა. მოედანს ვისცილდა. გზა მაღლობზე მიდიოდა. სუნთქვა დაუშძიმდა. ზე-ვიდან ქვეებით აეტოს თეალების მირიადები მოლაპლაპებდენ, როვორც თქმის კენჭებიანი მდინარე სინათლის მეურდილან ვადმომსქდარი. ფოტოგრაფმა გზა აუქცია თემშარას.

ისევ მოედანს წააწყდა. ახლა მის თეალწინ უშველებელი მაჯლაჯუნა აიტუნა. შავი, დახლართული, დაკვანძული, მიყიბულმოყიბული ხაზები. სამკუთხედად. ჯვარედინად. პირამიდალურად. სულ ზევით, სულ ზევით მიისწრაფულენ ვამურული პირეულები და ჯაჭვები. უშნო, უჯიათი, მაგრამ მაინც სიმეტრიისა.

ახმახი, მრისხანე, ზეცად ატყობუნილი, უკმრის მი-  
წის მუქარა, მაგრამ მაინც დიდებული, გრანდი-  
ზელი.

როვორც მიწის ნაპრალიდან ამოვარიდნილი სატანა,  
ზეცად ალანძულიყო ელექტროს გირლანდების  
გვირვევინით შებლ-შემჯობილი რეინის გიგანტი და  
შავი ფოლადის კლანებით ჩაბლაუჭებოდა მიწის  
კულტურის. ათასჯერ მაინც გადება ამ კოშის  
გეერდით ფოტოგრაფის, მაგრამ ასეთი შთაბეჭდი-  
ლება ჯერ არ მოეხდინა მასზე ამ გასაოუკარ ბაბი-  
ლონის გოდოლს.

ჩეუნის სულში ნელ-ნელა, წლიდან წლობამდის გროვ-  
დება, მწიუდება ამა თუ იმ საგნის შთაბეჭდილება,  
კიდრე ერთ წუთში თვალი წააწყდება მას და გაო-  
დება.

და ანტექტიკუს ქმნილების ჩრდილში მან პირე-  
ლიდ იკრძნო, რომ ის საცოდავი, გზაარუელი ფო-  
ტოგრაფი იყო და სხვა ორაფერი.

დაიღვალა. მიიხედ-მოიხედა. მიწის ქვეშა მატარებ-  
ლის მწვანე აბრას მოჰქია თვალი. „ნორდ ზიუდ“.  
ტუნელში ძლიერ მძიმე ჰიერი იდგა. ფოტოგრაფი  
ავტომატიურ აპარატთან მიეიდა. 20 სანტიმეტრი  
ჩაგდო. შოკოლადით პირი ვაისველა. მატარებელი  
დორმლმორეული ვეშაპიუით მოვარდა. ათასები  
ვაღმოანოხი თავის ვაუმაძლარი ხახიდან. ისევ შე-  
სკლიპა ხალხის ნიალეარი. იწიელა. გაექანა. ულექ-

ტრონი ჩავჭრა. ფოტოგრაფი რბილ ტეატრს დაუკარგებდა. გაისმა ფოლადის წერიალი.

უცემ დაკავესა. რაღაცამ იგრიალა. გაზაფხულის შეხი ვავიარდა ასწლოეან მუხნარში. საღლაც ვაისმა თქარა-თქური, ციკი ლაწანი, თითქოს კავალერიის ესკადრონი იერიშე ვაღდავიდათ. ფოტოგრაფმა თვალი დასუკა. მას უკეთ წელვამართულად ჯდომა აღარ შეეძლო და სხეული მიეცა უნებლივო ამ თავ-აწყვეტილ სრბოლას.

ვავონში ისევ აენთო სინათლე. მის ვეუზღით რამოდენიმე კაცი შეამჩნია, ეიღაც პორტულიანი, ლიპიანი კაცი, ორიოდე პოტელის ბოი, მთურალი სტუდენტები, ორი ჩინელი და ერთი ვუალიანი ქალი ვავონის ქუთხეში.

ფოტოგრაფმა თვალი შეასწორო როცა ქართა მისკენ გამოიხედა, თავი დაშხარა. საკუთაერიდან პატარი, ჭრელ-კანიანი წიგნი ამოილო და კითხვა დაუწეო. ფოტოგრაფი უყურებდა... მისი გრძელი, მოქნილი ტანი ნებიერად ჩატლულიყო წითელი შავრენის სავარძელში.

ფოტოგრაფმა თვალი აარიდა მის სახეს, რომ ამპარტავანი ქალისათვის თავისი სულწასულობა არ ეჩენებოდა. იგი უყურებდა უუალიანი ქალის სწორსა და შნოიან ფეხებს, რომელნიც თეთრად გამოურთო-დენ გამსჭვირვალე, ხორცისფერ აბრეშუმის წინდე-

ბიდან. მატარებელი ისევ გამოვიდა ტუნელიდან. ლიანდაგის გასწერით ალიმართი ურიცხვი პლაფატები, ელექტრონით გაჩირალდა ებული უზარმაშახა. კოშკები, გაბრწყინვებული ვიტრინები.

მატარებელი გამჭვინდა ვაკეზე, თიტუზენ მრავალსართულისნი სახლების კონტურები, შორეული სინათლეების ელვათა ქროობა ხანძარივით კაშკაშებდა... საღვური. ვაკონში ელვის სისწრავით შემოიქრა ხალხის ტალღა. უადგილოები ფეხზე იდგენ და ჭერზე დაკიდებულ ლველებს ებლაუქებოდენ. მახლობელ საღვურზე ისევ დაიცალა ვაკონი. ახლა ორიოდე კაცი ყვინთავდა ფოტოგრაფის გვერდით. უცნობმა კასერი მოილრიჯა, ფანჯარაში ვადაიხედა. ფოტოგრაფმა თვალი შეასწრო მის ფართესა და ლურჯ თვალებს, მის ხანვრძლივსა და ნაღელიან შემოხედვას.

უცნობმა ისევ თავისი ჭრელკანიანი წიგნი დაიდო მუხლზე და კითხვა განივრდო. მატარებელი გამჭვინდა სახლების სახურავებზე, გაისმა ისევ მოულოდნელი მეხის გრიალი ასწლოვან მუხნარში. ხშაურობა მისწყდა ელვის სისწრავით. რამოდენჯერმე გაისმა ფოლადის წერიალი. ტერციალი. რაზოაზი. და ამჟეა ბორბლების ჩიტრიულ როკებისა და ხმაურის დაქანცელი მდზაურის ნაღელიანი ფიქრი.

ფოტოგრაფმა ხელთათმანით გასწმინდა გორითქლილი მინა. მის თვალ წინ გადაიშალა მდინარის ნაპი-

რა. უზარმაშარი ელევატორები დამხობილიყვნენ ნა-  
პირზე, ზღაპრულ ყანხებივით წაევრდელებიათ შავი  
კისერი კუპრივით გაშავებულ მდინარისაკენ, სადაც  
მწვანე და ოქროსფერი სხივის ზოლები კისკასებ-  
დენ გიშრის ფონზე. ფოტოგრაფი საშინელმა ში-  
ნაგანმა წრიალმა აიტანა. იდგა. კედლის კარტას  
თვალი გადაევლო: კიდევ ხუთი სადგური...

მატარებელი კიდევ გასცილდა ერთ სადგურს. ფო-  
ტოგრაფმა საათს დამხედა. იხლა თრიკე მარტონი  
იყვნენ. კიდრე მატარებელი დაიძროდა აუტანელი  
სიჩუმე ჩამოვარდა. ქალმა წიგნი საკეთიაეში შეი-  
ნახა. ივი უკეთ გრძნობდა, მას ყურადღებას აქცი-  
დენ. თვითმმაყოფილ, ლურჯ თვალებში ფოტო-  
გრაფმა ამოკითხა ნებიერი შინაგანი ხედეა.

— რაზე ფიქრობს ნეტავ ეგ პირმშეენიერი? ვინ  
იცის, ენებიან ხეეენასა და აღერსზე, რომელიც  
მოელის ეცებ ერთი სადგურის შემდეგ.

ფოტოგრაფმა ჯიბილან გაზეთი ამოილო, თვალშინ  
თითარი. (თანაც განავრმობდა ცქერის). მამაյაცის  
მრავშემა თვალებმა გაატირევეს ქალი; ფოტოგრაფმა  
ელვის სისწრაფით წარმოიდგინა მისი ტანის ყოველი  
დეტალი... ერთ წამში ფოტოგრაფს 'შეშინდა ვა-  
გონში ჩამოვარდნილ სიჩუმის, ვით თუ მყედროე-  
ბას ვაეთქეა მისი ვალის ნადები. იდგა. მთელი  
ვაგონი ვაითარა. კედელზე გაერულ ფეხსაცმელების,  
კრემების, ოდეკოლონების განცხადებებს დაუწყო

თვალიერება. ისევ ფანჯარასთან მივიღა. ხელისა-  
მანით გასწმინდა.

გარედ გაიხედა... ერთ წამში მეორე მატარებელმა,  
ჩაირჩინა. გამრწყინებულმა ფანჯრების კაშაშმა მისი  
სული მშეენიერზე ფიქრისგან გამოაფხიზლა. ფოტო-  
გრაფი ისევ ჩაეტლო შეგრძნის რბილს სავარძელში.  
მატარებელი ახალ სადგურთან შექრდა. ბაქაჩზე აუ-  
რებელი ხალხი იცდიდა. რამოდენიმე კაცი დაწინაურ-  
და და ვავონში შემოიხედეს. ერთმა მათვანმა ქალს  
თვალი მოაეღო. ვიღიმა და რალაც უთხრა ამხანა-  
ვებს. დანარჩენები ცინიურად იცინოდენ. რაღაცა  
ლაპარაკობდენ. ქალი ადგა. ვავონის თაროდან პატა-  
რი ხელჩემოდანი ჩამოილო. ფოტოგრაფი. ვაურკუ-  
ელმა წრიალმა აიტანა: ვით თუ ადგეს. ვავონის  
კარი ვაალოს და შეერიოს ამ ბრბოს, მისთვის სამუ-  
დამოდ დაიკარგოს. როგორი უმწეობა? ივი ვავონ-  
ში უნდა დარჩენილიყო და შორიდინ ემსირა თუ  
როგორ ვაეყრებოდა მას უცხო შევენება.

შემდეგ სადგურზე აუარებელი ხალხი შემოეიდა ვა-  
ვონში. ტევა ილარსად იყო. კიდევ ერთი სადგური.   
ფოტოგრაფი ცდილობდა თვალი მოეკრა შორიდან  
მაინც. შორგვეოით მრგვალი დედაკაცები, სქელ კის-  
რიანი, ლიპიანი მამაკაცები ჯებირებივით გადაეღო-  
ბენ მის ხედებს. ვავონიდან გამოსვლის თღნავ  
შეასწრო თვალი ქალის მინანქარის პროფილს. გრე-  
დაწყეტილმა ვავონის კარი ვისხურა. გრიალით,

რაზრაზით გიჩვანა მატარებული. ტურელის შეფერ  
ხახაში შევიდა... უკანასკნელად თვეოლი მოვლო ბო-  
ლო ვავონის შავ კონტურებს. ორი წითელი მღვემ-  
ტრონის წერტილი ვავრძელდა. დაწყობილდა. ბო-  
ლოს ერთმა იქლვა და ბნელში ჩაინთქა, (ტყის დე-  
დოფლის ზღვაში ვადასროლილი ბეჭედი).

— ჩემო საყვარელო აღრიაუნა. წაიჩინებიული ფოტო-  
გრაფია და უმცხად ხელში მიაჩენა მეტროპოლიტე-  
ნის ბილეთი მის თვალწინ ატუზულ ჟვანელ  
ფოლაქებიან დარაჯს. ობნიმუსში ვადაჯდა. მას  
არ უნდოდა რამე ენხეა, ან ვაევონა. მისი სული  
კიდემდის სავსე იყო სახეებით, ფერებით, ხმაურო-  
ბით. და შინ მისელამდის გრძნობდა განუსაზ-  
ლურელ ხმაურობას, ერიომულს, წერიალს და ვანუ-  
საზღვრელი სინათლისა და ჩრდილის თაბაშს. ძლიერ  
მიაღწია თავის მეშეიდე სართულს. ელექტრონი  
ჩავქრო. სამარისავით ციფ ლოგინში ჩაწეა. რქეეფანა  
“შემმულდა,” ამბობდა იგი ხმამილილი ფიქრით.

## 2.

ნაპირზე მომდგარ გემების მილები ბოლავდენ. მო-  
ზერებიერით ღმურდენ შავი, გამურული ბუქსირები.  
ურიცხვი აფრები. ანძების ტუე ქანაობდა და ტორ-  
ტომანობდა. ფოტოგრაფია გემის ბილეთს დაპხედა.  
სწორედ ეგ არის“, და თვალი შეავლო სამშილიან  
გემს. ამ გემზე აუარებულ მავრთულებს, ელექტრო-

ტეხნიკურ მოწყობილებებს, კაბელებს, ტურბინებს  
ალაგებდენ. კალეჭტა. კოსპოლი. მოსული. ჟირი. ან-  
ტოლია. ცეზარია ეწერა ყუთებზე, პაკეტებზე.  
დასავლეთიდან აღმოსავლეთში მიმდევალი სინათლე.  
გაიფიქრა ფოტოგრაფმა.

— გემი „პერსეპოლის“ რომელია? კითხა ვიღეც სა-  
თვალებიანმა ფოტოგრაფს.

— ეს გახლავთ, წინა, — უპასუხა მან და მაშინალუ-  
რად თვითონაც გამკეა უკნობს.

ფოტოგრაფი სამშობლოში ბრუნდებოდა.

ადამიანს თავისი ჩეულებები ზღუაზედაც თან და-  
კუება. დღისით კაიუტაში ეძინა. ლამე საკომინდო  
ხიდზე იდგა. ზღვას უთვეალთვეალებდა. გემი მიქვნი-  
და ზუას, (როგორც შევად შენწერილი გივანტის  
კუბი).

ბნელა შემოდგომის ღამეები იყო. მეთოლიები თქა-  
ვაწეშილი მოხარეებიერთ მოსდეველენ გემს.

— How are you Captain?

— Thank God. წავიდეთ შერი ბრუნდი დავლით.  
წაილულულა ზღვის დათვიცით ჩარგვეალებულმა კა-  
პიტანმა, ხელი მხარზე დამკრა ფოტოგრაფს.

— Your health Captain. ფოტოგრაფმა ვამოსკალა.

— ეგებ ვისკი გერმიონ, თუ... დათრობის გეშინიათ?

— მე ლოთების ქვეყნიდან გახლავართ. პირველი არ-  
გონავტების კაპიტანი ჩემს სამშობლოში დაითრო.  
მორიგი ტოსტი:

- ლმეროთმა გაუმარჯოს იმ ქვეყანას, სადაც ვაშეპი  
სტირიან მხებე.
- როგორც თვალ ეუეუნა პატარძლები. ადამიატე  
კაპიტანმა.
- სადაც განუწყვეტლად იღვრება ვაეისა და ვაზის  
წითელი სისხლი. მხოლოდ მე გვავქეცი კაპიტანო  
ჩემს პატარა ქვეყანას.
- მშიშარა ყოფილხართ.
- დიახ კურილელივით. შალე აბესინიაში შივდივია  
ნიანგებზე სანადიროდ. იქ მიუდის ალბაუნა, ჩემი  
გულის დედოფალი.
- კაპიტანმა ფართე, დასისხლიანებული თვალები შე-  
აშეტერა ფოტოგრაფს, სასმისში ვისკი ჩაუმატა. ყა-  
ლიონი გააჩალა.
- იმ ღამეს ზღვა ვავიუდა, (რადგან მოვარეს ისე მოქ-  
ხვია ხელი უნიათო ლიუბელმა, როგორც კუშიანმა—  
თავის მხეთუნახვ ცოლს.) კაიუტაში სალებავის სუნი  
დადგა. სადღაც კერები ვაიღო. მეორე კაიუტაში  
რაღაც ტექტურიალი მოისმა. ტალღამ ფრთა შემოქ-  
რა კაიუტის ფინჯარის.
- ფოტოგრაფო, ლმეროთმა გაუმარჯოს იმ ხალხს,  
რომელიც ვგეის ზღვის დაიღუპა.
- ფოტოგრაფი შეკრთა. (თავისი დაღუპული ხალხი  
მოაგონდა). ხმის ამოუღებლად ვამოსცალა თავისი  
სასმისი.
- ჯერი ფოტოგრაფზე მიღვა. კაიუტის კარი ვაიღო.

დაბალი ტანის მატროსი შემოვარდა. ქლოშინია  
წაიბურდულა: „კიპტინ“... კაპიტანი და ფოტოგრა-  
ფი ბაქანზე დატვირდენ. ალარმის ხმაურზე ეყიპაჟი და  
მდგრები გარედ გამოსულიყვენ. გემის ექიმი, პა-  
ტიორი, ოქსუორდელი მის, ოქროს ჯავეიანი ფაბ-  
რიკანტი, ლორნეტიანი მისის, ანკორელი გაქრები,  
შეტრდოტელი, მენახშირე ზანგები, მატროსები.

შევი ფრინველი რაღიო-ტელეგრაფის შეესულზე  
წამომჯდარიყო და ისტერიულად ჰყიცოდა. (მისი  
თაღი ფრთხები სამგლოვიარო აღამივით ფრიალებ-  
და ქარში). რაღიო უსასოთ წინილით ამცნობდა განუ-  
ზომელ წყალთა უდაბნოს მოახლოებულ უბედურე-  
ბას. ფოტოგრაფი ბარბაცით მივარდა კაპიტანს. გან-  
ზე ვისხმო. რაღაც წისჩურჩულა.

— ყველა უნდა მოჰყედეს, ეისაც სიკვდილის ეშინია.  
წაილაპარია კაპიტანმა და ბოტფორის ყელზე და-  
ბერტყა თავისი წითელი ხის ყალიონი. შორეულ  
ნაპირზე ციცინათელებივით ენთებოდენ და შექ-  
ბოდენ პელოპონესის კანდელები. ყველას მოკიაფე  
კანდელების იშედი პერნდა. პირველი თვიცერი მი-  
ვარდა კაპიტანს (ბრძანების მისაღებად.) მატროსე-  
ბმა პროფესიული გამოიტანეს. უშეელებული სხივის  
შლეიფი აფარდა ცაში. შევი ფრინველი დღარსიდ  
იყო. ხალხი დაწყნარდა. ფოტოგრაფი პირველ თვი-  
ცერს გაძყეა. კომპასი ნახეს. გემის მიმართულება  
იყო. S. O. შევი ფრინველი ჩრდილო აღმოსავლით.

წასულიყო (ერთ მატროსს ენახა.) ფოტოგრაფია / კარივანი  
იუტაში ჩაიკეტა თავი. ქარტა გადმოიღო, დიდის  
ათვალისწინებდა.

ფოტოგრაფის ჩაეძინა. თავისი პატარა ქვეყანა დაე-  
სიზმრა. მთელი ხალხი დამთველალიყო. მცხოვრები  
გარედ გამოკვენილიყენ. ორლობებში ლოკა დაბ-  
რაწული დიაცეპი იდგნენ. ხელში ეჭირათ ციებისა-  
ვან გაყვითლებული ბავშვები. დედაეცეცები ურცხვად  
იცინოდენ. ხმა მაღლა ქაქანებდენ. ბავშვები ტი-  
როდენ. მამაკაცებს შევი დროშები იელოთ, ქარხ-  
ნებში წასულიყენ სამუშაოს საძებნად. ქალებს სიძ-  
ვის ისტერია დამართნოდათ. გძელ ყავარჯინინი  
მოხუცები მწყესავდენ ატეხილ რძლებს. ილანძლე-  
ბოდენ. ბრაზობდენ.

დღით აღრე ქაპიტანი შემოვიდა ფოტოგრაფის  
თთახში. რადიო ტელეგრამა გადასცა. სადღმირალო  
იუწყებოდა: „წუხელ შეაღამის 12-ზე და ათ წუთ-  
ზე თევანის გემზე — „მაერიტანია“, ბისკიის წყლე-  
ბში, შევი ფრინველი შემოჯდა. გემი ხუთ წუთში  
ზღვის ფსკერის კენ წაეიღდა. გაფრთხილდით. ისმა-  
რეთ პროექტორები!“

ორივემ პირჯვარი გადაიწერა. ყველაფერი შემთ-  
ხვევის საქმეა, სოქვა ფოტოგრაფმა. თვითონაც ისარ-  
გებლა შემთხვევით, ქაპიტანს სერათი გადაულო.  
მე არ მეშინია სიკვდილის, ჩაილაპარაკა ქაპიტანმა.  
ქაიუტის ქარი გაიგდო.

თმიუე ლამეს გემის სასალილო სალონში ბალი ვა—  
იძართა. დამები დიდ ტეალეტებში გამოეიდნ. პა—  
ტორშა კრძნობიერი სი წყვა წარმოსთვეა. თრავნი—  
მა დიდხანს იღაპარავა სინათლის მნიშვნელობის  
შესახებ. სიტყვა ძლიერ გაუგრძელდა. ფოტოგრაფმა  
იდროვა. ლორნეტიან დამას მოუჯდა.—რა სოჭეთ,  
ვერ გავივი, უთხრა ლორნეტიანმა და ფოტოგრა-  
ფისებ მითწია. ფოტოგრაფმა ვეღარ მოითმინა ველ-  
მერდ გაშიშელებულ ქალის სიხსლოვა და კურზე  
აკოცა მისისს. როცა პასტორი პროცექტორს შეეხო,  
ფოტოგრაფმა კურუბი სცენტრა. ეს საკითხი მასაც  
ძლიერ აინტერესებდა. სადლევრძელოები დაიწყო.  
ისმოდა ბაკალევრის წერიალი. ვიღაც შუქმის უკავ-  
და როიალზე. ფოტოგრაფმა სიგარის ბოლში ვაარ-  
ჩია ექიმის მოტელეპილი თავი; იგი ფოლადის მუხა-  
რადივით ლაპლაპებდა ელექტრონის შექმე.—რო-  
გორუ პენდავთ პასტორი სცდება, სინათლე უფერ-  
ოვის როდია საჭირო. წასჩურჩულა ფოტოგრაფმა  
ლორნეტიან დამას. ქალმა ცმიერად გაიღიმა. ფო-  
ტოგრაფი ისევ აენთო. მაღამის დეკოლტეში ჩაი-  
ხდა.

—თქვენ დიდი უზრდელი ვინმე ბრძანდებით.

—დიახ, მე მეწისქვილის შეიღი გახლავართ. მამა-  
ჩემის ხარის ტყავზე ისწავლა წერა-კითხვა. მე მაღე  
აბესინის მიეღიერ, ზანვის ქალი ილრაუნა უნდა  
შევიჩოთო.

ლორნეტიანში სიტყვა ჩამოაგდო თავის ქმ/ჩეკე, ივი კალეუტაში ელექტრონის საღგურის დორექტორი ყოფილა. — ჩემი ქმარი მოწადინებულია შეული ინდოეთის შრინარების ელექტროფიკაცია მოაწყოს. სავარეო უწყებამ დიდძალი ფული გადასდო. მაღვე მთელი ოლმოსაელეთი უნდა განითდეს. — ეს დიდი საქმეა მისის, ფრიად დიდი საქმე, ამბობდა ფოტოგრაფი.

— თქვენ რა პარაფებს ხმარობთ. ვეზეულის? თუ უკლიშლამურის? ქალმა გაიღიმა. ფოქსტროტი დაიწყო. აღტყინებული ცხვავდენ: ოქსფორდელი მის და ოქროს ძეწყვიანი ფაბრიკანტი, პასტორი და ლორნეტიანი მისის, ფოტოგრაფი და კაპიტანი.

მეზრდოტელი სალონის ქარებთან იტეზულიყო. მას ფრაյი უკვა, თეთრი ხელთათმანები, ფეხზე უკათვლი ტყავის ბოტოფორები. დამა არა ჰყავდა.

მხოლოდ გემზე იგრძნობს ადამიანი თუ რას ნიშნავს ქალი. ქალი მიწაზე სკარბობს და წყალზე მუდამ ნაელებია. ისეთი რამეა ქალი. ფიქტობდა ნალელიანი მეტრდოტელი. ბოლოს ვეღარ მოითმინა. იქვე მდგარ მენახშირე ზანგს ხელი დაავლო და ფოქსტროტის ორვის შეუერთდა. ანგორელ ვაჭრებს კაიუტები ჩაეკეტათ და ლოცულობდენ.

ნადიმშა ნაშუალმეცამდის გასტანა. ნადიმის ბოლოს ფოტოგრაფმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა თავის აბესინიელ საყვარლის, ალრაუნას, ტოსტზე.

მისი სადლევრატელო ყველამ სიამოუნებით დალის.  
როცა ლორნეტიან მისისის ჯერი დადგა, მან ფოტო-  
გრაფს მიუშვირა ჭიქა და სახეში შეასხა შერი ბრენ-  
დი. ასე დასრულდა ფოტოგრაფის რომანი გემსე.

3.

ფოტოგრაფმა თავისი სოფელი ძლივსლა იცნო. ეწ-  
ლესის მოედანზე აუარებელი მზიაშშია და ბაია  
ამოსულიყო. ლელეზე კოპიტის ბილი ფეშენებიათ.  
სკოლის შენობა გადაეცემობიათ. იქა იქ იგურის სახ-  
ლები. სკოლის გვერდით ცაცხვი მებს ჩამოეტეხა.  
სოფელის სამშართველოზე წითელი დროშა ფრიალებ-  
და. ძველებურიად: ღობეებს ჩაყოლებულ თხრილებში  
მწევანე ლეყებიანი ტბორები. სარებზე გამხმარი  
ცხენის თავები. სახლების შესავალ კარებზე ძველი  
ნალები. ფოტოგრაფს მოაგონდა მამის სიტყვები:  
ძეელი ნაღი ძველ გზაზე სიარულს ნიშნავს.

ფოტოგრაფს საათი გაუჩერდა. იკაციებიდან ყვავი-  
ლების ნამქერი ითრქვეოდა. ფოტოგრაფი ქუდმოხ-  
დილი მიდიოდა · თემშარაზე. გლეხები გაეცირვებუ-  
ლი აცქერდებოდენ. ზოვიერითი დაბალ სილამს აძ-  
ლევდა. მნათე მათეია მიუაძლოვდა. მან კოცნა ეტ-  
გაუბედა ნასწავლ კაცს. ფოტოგრაფმა თეთრ წვე-  
რებზე იკაცა მათეის. მღვდლის სახლიდან გრამო-  
ფონის ხმა ისმოდა.

— მღვდელი როგორ მოვიყიოხო?

— მღვდელი გარდაიცვალა, ჯაერისვან გული გადა-  
ქდა... შარშან... ვეღარ აიტანა. შენი კირიმე.  
— ეს გრამოფონი რატომ უკრავს? დღეს რა უჩხეა?  
— ხომ იცი შენი კირიმე, ქვეყანა გაიზუვნა. მღვდლის  
ქალიშვილი ფეხშიმედაა. მუცელი უნდა მოიწყე-  
ოს. არ უნდათ მეზობლებს გააგებინონ. მიტომაც  
უკრავენ იმ სატიალეს. წასჩურჩულა ფოტოგრაფის მა-  
თებიამ. — ეს აკაციები როდის დაურგავთ? — შენს შემ-  
დეგ შენი კირიმე...

ლამდებოდა. ჩრდილები გრძელდებოდენ. ოსეოფა  
ჩიმოვარდა. მოელი ლამე მოუსვენჩად ეძინა ფო-  
ტოგრაფებს. ბაყაუების ყიყინი ისმოდა ყოველი მხრი-  
დან. ფოტოგრაფის ქოშის გვერდით, რომელილაც  
ლამის ფრინველი მღვრიდა. ფოტოგრაფი იწეა. ვამ-  
პეარტლულ ჭრის აჩერდებოდა.

გარიერაებები სოფელს თავს დაესხა ნისლი. ფოტოგ-  
რაფი ადგა. სოფელში გაუჩივეველი ქრიამული ის-  
მოდა. შუებში საქონელი იწეა. სადღაც ძალები  
ყეფვადენ. ფოტოგრაფი ტყისაკენ წავიდა. თემაშა-  
რისე ახალი, ურმის ნაკეალევი შენიშნა. (მას ძლიერ  
უყვარდა ისეთ დროს სეირნობა, როცა ყველას ეძი-  
ნა). ვეიმრით დაფარული სერი გადაიარა. მაღალი  
თხემლნარი გარინდებული იდგა. ჭობებიდან სქელი  
ობშევარი აღითდა. იწამლებოდა ჟაერი. ბაჟშვებს  
ციება ვასწავეტს. ბაჟშვები დიდი და ლია თვალე-  
ბით, ბალახით დაფენილ სასაფლაოებისაკენ წაელენ,

(როგორც თეთრი, თეთრი იალქნები ეგეის ზღვას /  
ლიკიურის აყოლილი). ასე ფიქრობდა ფოტოგრაფი  
და ჯოხით სჩიქნიდა თხუნელასაკან ამურმკენილ  
მიწას. შეს გველი აურქოლდა, რამდენი ბავში უნ-  
და ემსხვერპლა ციცქას. ამ წამში ნალვლობდა, რომ  
იყო ფოტოგრაფი იყო და არა ექიმი... ფოტოგრა-  
ფი მოულოდნელმა ხმაურობამ გამოირკვია ფიქრე-  
ბისაკან. თხემლის ხეზე შეეი ფრინველი წამომჯდა-  
რიყო გაძარცული. შერცხვენილი. თავჩალუნელი  
(როგორც მოხასტრიდვან გაქცეული ბერი). ფრინ-  
ველმა მოქურცხდა.

დამიბრუნე ჩემი საყვარელი! ყვიროდა ფოტოგრაფი.  
დაკვიბრუნე წევნი ქმრები. მისძახოდენ სოფლის დე-  
დაკაცები, რომელნიც სიძვის ისტერიას წამოეგდო  
გათენებისას. ფრინველმა ცისკიდურს მიაშურა.  
ცისკიდურზე წითელი მთვარე წამოწოლილიყო.  
შშობიარე დიაცივით იბრივალებდა კაბპა თვალებს.  
მთვარემ თეთრი, უცალველი ლრუბელი შესრუტა.  
წურბელიყით გაიბერა და მუქლურჯი მთის გადალ-  
მა ვადავორნდა.

მაჩმალილო ფირუზში გაიღესა, შარლახი შეერია-  
მინანქარს. ვატუდა უშეელებელი სარკე მოხუცებულ  
მზეთუნახავისა და გაისერა ზეცის ეკრანი ქარვის.  
სკეადით დაჩითული და დასირმული.

ფოტოგრაფი კიდევ დიღხანს დარჩა სოფელში. (თუმ-  
ცა შეს სოფელი არ უყვარდა).

... ერთხელ, ფოტოგრაფის სახლში ნაციის ბაჟშები მოვარდნენ. ყმები უკანკალებდათ. ესრუ ერთმა ვერ გამედა მისთვის ეამბნა თუ რა მოხდა სოფელში. ფოტოგრაფი იდგა. სარქმელი გამოილო. სოფელის თემშარაზე ფარდაგებით გადახურული ურმები მიკრიალებდენ.—სად მიღიან ეს ურმები? პეითხა ფოტოგრაფმა ნაციებ ბაჟშეებს.

— საყდარში.

— რომელ საყდარში?

— წმინდა გომირვის. უპასუხა ერთმა. მას ქარვასავით გაყვითლებოდა ლოკები. მუცელი ციებისაგან გამობერეოდა.

— ჩემო ძვირფასო პატარებო, თქვენც წმ. გომირვის საყდარში უნდა წახვიდეთ. უთხრა ფოტოგრაფმა. სოფელის თემშარაზე საშინელი პაპანება იდგა. ურმების მტერი ძეწნის ფოთლებს ეყრებოდა. ფუტკრები შინაგანულად ზუსუნებდენ აკაციისა და ძეწნის ხეივანში. ფოტოგრაფი და ნაციები ბაჟშეები ექლესიისკენ მიიჩქაროდენ. ფოტოგრაფი ლელეს ხიდთან შეჩერდა. ჩელტის ფაცხა შეაღო. კუტი მართავია ისევ. თავის ძველ ფსალმენს კითხულობდა. მართავის თვალებზე ცრემლი მოაღვა. მან იცნო ფოტოგრაფი...

— ხომ გახსოვს, როცა მე მონაზონი ვიყვავი — ფსალმუნს რომ გაიითხებდი. ფოტოგრაფი სიხარულისაგან ვაწითლდა. საბნიდან იიღო ქარებისაგან ათას-ათასილას გადატეხილი, დანაოჭებული ხელი, აკოცა,

ისევ თავის ადგილზე დასდო. მერე მოიხსნა, ს კულას ნაჩექარი ოქტოს ეეტონი, მუქში ჩაუდეა მართავის. მართავი დაიბნა. მის დანაოცებულ სახეზე ლიმილმა გაიღლდა. ფოტოგრაფუმა შენიშნა: მართავის ტანჯულ თვალებში წმინდანის იქრი. ფოტოგრაფისთვის ეს მოულოდნელი იყო. არც მართავი ელოდა ოქტოს ეეტონს.—ეს აჩაფერია, ნაციები ბაჟშები წყალს რომ მოვიტანენ, იმათ აჩუქე.

— ყველაფერი ბაჟშეებს უნდა აჩუქო კაცმა. სოქვა მართავიამ. ცრემლი მოიხოცა.

სოფელში დღეობა იყო. ფოტოგრაფი ნანობდა რომ თავისი ფრიაკი არ ეცვა ამ შემთხვევისათვის. ხალხი ირყოდა, მეორე სოფლიდან მოსულიყვნენ ვლეხები წითელი ღროშებით. უცხო სიმღერებს მღეროდენ. სოფლის ბიჭები სიმღერას უტის უგდებდენ. მჟღე, დადალულ ცხენებს ათვალიერებდნენ. ტყაბუჭებიანი გლეხები გაძეალტყავებულ ცხენებს დააჯირითებდენ შხია-მხიით დაფარულ ეკლესიის მოედანზე. გლეხებს წითელწოხიანი წინამძლოლობდა. წელზე გრძელი სატევარი ერტყა. ჯიბიდან რეეოლევერი უჩანდა.

— ტკაც! ჭებიანი გლეხებო, მიმართა ფოტოგრაფია. გაუიცებთ წმ. ვიორგის მაღლს ნე დახოკავთ ამ საუ-ზღავ ცხენებს, თორემ მათი გამხმარი თავები საჩებზე უნდა ჩამოანკით.

წითელწოხიანი გაფიცხდა. ჩამოხტა ცხენიდან. ცაც-

ხვის შტოს მოსწია, მიაბა, სატევარ ამოლება-ლი გვ-  
ვაჩდა ეკლესიაში. ხალხი მიესია საყდრის გამოსა-  
ვალს. წითელ ჩოხიანშია ვერცხლით შეკედიდა ხატია  
ვამოიტანა.

— გჯერა ხატის ძალა? პკითხა წითელჩოხიანშია ფო-  
ტოგრაფის.

— დიახაც მჯერა. უპასუხა ფოტოგრაფმა უა ვაი-  
ცინა.

— თვალიც დაგდვომია, ქვეყანა შემოგივლია და ხა-  
ტი მაინც გჯერა?

ტყაპუჭებიანი გლეხები თილისმურად იცინოდენ.  
წითელჩოხიანშია უაცხეის ძირში მიაყუდა ხატი. უკან  
დაიხია. რევოლვერი ამოილო. სანიშნო გაზომა. დე-  
დაკაცებს ფერი დაეყარვათ. ნაციები ბაეშვი; ა ში-  
შისავან კანკალებდნენ. წითელჩოხიანშია ესროლა. ხა-  
ტი არ ვანძრეულა. ხალხი აჩოქმლდა. ხატია კ ნ ვა-  
ექინა. ტყვიაშ გულმკრძი ვაუგმირა აბჯროსა რა-  
ინდს.

წითელჩოხიანი დოინჯ შემოყრილი მოშორების იდგა  
და იცინოდა. ფოტოგრაფმა ისტერიულად ვა იხარ-  
ხარა, პრიმ ვაარღვია, მიეთხდა წითელჩოხია და...  
აკუკა.

— შენ შემაყვარე ლმერთი, უთხრა ფოტი ა ფმა.  
ტყაპუჭებიანი გლეხები მუხლზე დაეცენ. წი უჩი-  
ხიანი და ფოტოგრაფი ერთად იდგნენ და იშე-  
ორეს შესკეროდენ როგორც თანატოლნი კ მშად

შეფიცულნი. უკელანი სდომდენ. ცატხვის შტოქაში ფრეტერების ზუზუნი ისმოდა. მაისი იყო, და მკლების ეჭოში ლიმონის ფერი პეპლები დაფარფარებდენ. ისტერიანი დედაკაცები განხე იდგნენ.

გახატხული კარს მომდგარიყო, როგორც აწყვეტილი ბულა.

მკლების ეზოში ნაციები ბავშვების წივილი გაისმა. სუროთი დაბრურდულ სამრეკლოზე შავი ფრინველი შემომჯდარიყო.

„შესდექ!“ დაიყიდეთ ფოტოგრაფმა, სამრეკლოზე ძეგრა და წისქვილის ქვა ესროლა მაენეს.

— შენ მე ვერასოდეს მომეწევი. დაიჩხავლა ფრინველმა და ახლა მკლების გუმბთაზე წამოსეუპდა. ფოტოგრაფს კიბე მოუწანა მნათე მათეიომ. მან ასვლა დააპირა, მაგრამ ფრინველმა კლანჭი მოსდომ მკლების ჯვარს. მწიფე ნაყოფიერი მოსწყვეიტა ივი და ესროლა ფოტოგრაფს. ჯვარი ფერდებში შეერქო. ფოტოგრაფი ძირს ჩამოვარდა. „დარჩი მიწაზე, ნაციებ ბავშვებს მოუარე! ეერ გაიგე? ღმერთი რომ მოკუდა?“ გადმოსძახა შავმა ფრინველმა და გაქრა. მნათე მათეია, ტყაპუჭებიანი გლეხები, ნაციები ბავშვები, ხმა გაქმედილი იდგნენ და პირჯვარს იწერდნენ. წითელჩოხიანი განხე იდგა. ფოტოგრაფი ძირს დაეცა და მიწას დაუწყო ჭამა.

ამის შემდევ მთელი თვე იწერის სოფელში. ისლის სახურავებიდან ჩამოსწერა. ღელე ლეართვიაფით მო-

ვარდა. ნაშეუაღამეცხოვე კუტია მართიას ფაქტა წილი  
კა. მნათე მათეიამ მხოლოდ ძეგლი ფსალმუნი ნახა  
რიყებული. ბავშვებსა და დედაკაცებს, ისე დაუტია ციერ  
ბა, როგორც კალის ჯოვი ოქტოგვის ყანებს. ფო-  
ტოგრაფის შეეშინდა მთელი სოფელი არ გადაეშე-  
ნებია ციების. ამიტომიც გამოიცხადა, რომ ივი მხა-  
დაა ყველის გადაულოს სურათი. ფოტოგრაფის ეხო-  
ში ტეხა აღარ იყო. ჩითელ ჩოხიანიც შოდიდა. მო-  
ვიდა მღვდლის ქალიშეილიც, რომელსაც უკვე მო-  
ეწყებიტა მუცელი. ხალხი ისეთის მოწიწებით ვამწ-  
კრივდა ფოტოგრაფიული აპარატის წინაშე, როგორც  
ოდესმე ხატის წინ. ყველას კარგიდ გამოჩენა უნდო-  
და, რაღაც ფოტოგრაფი ამბობდა:

სურათებს ქალაქში წავიდებო.

ბოლოს ვამოჩნდა ბებერი მნათე თავისი კოქლი მარ-  
სიათი. მათეიას ძლიერ უნდოდა რომ მარსია ძალ-  
ლისათვისაც სურათი ვადაელო, მაგრამ ერ ვაე-  
ბედნა. არ იცოდა ეს თუ შეაძლებოდა.

— ამის მეტი რა ვამაჩნია შენი ჰიზიმე, ეინც ვენა-  
ხავს; ბარე ერთად ვენახოს. ბოლო მობდა მნათე. ფო-  
ტოგრაფმა ვაიცინა. მარსიასაც ვადაულო სურათი...  
ყველას სურათის ვადალება ნდომია. ჩაიბურტუტა ფო-  
ტოგრაფმა.

— ჩერნც ვეინდა რომ ქალაქში ვენახონ. უპასუხეს  
ისტურიანმა ქალებმა.—ყველას ჭყერებია უციდავე-  
ბა. იოხენჯა ფოტოგრაფმა და რაკი ეერაეინ მიუ-  
ცდა, თეითონვეე ვაუცინა.

სოფელში მაინც სწევიმდა. ხეემურებში ჩამოყონა. წურებში ობის სუნი დადგა. ფოტოგრაფია ერთი მუკა მიწა აიღო. ცხვირსახოციში გაპხვია და ქალაქში გადასახლდა.

ფოტოგრაფის ქალაქშიაც მოსწყინდა. სამუშაო ძლიერ ცოტა იყო. ქალაქში არავის ეშინოდა ციების. სალამო გამს ფოტოგრაფი ქალაქს გარედ წაეიდო. თავის საყვარელ სერჩე წამოჯდა. მთების გადაღმა პურპურის ფრად ენთებოდა ზეცა.ივი ამჩნევდა ელაქტრონის შექი მთვარის სხივებს ეჯიბრებოდა. ცის შერცხვა და გაწითლდა.

ფოტოგრაფის სული ერთბაშად საოკარმა ჰიპა შეიძყო. საღმე რომ ელექტრონი გადაიწვას, მთელი ქალაქი ხანძარში გაეხევეა. აფეთქდებიან ნავთის რეზერვუატები, ქიმიური ლაბორატორიები, არსენალები და მაშინ ხომ გაიგებს ქვეყანა, რომ ნამეტანი სინათლეც მავნებელია. მთიდან ჩამოეიდა. სერი გადაიირა. ქალაქს შეეპარა. მცხოვრებლებს ეძინათ. (რადგან წინა დღით სახალხო დღესასწაული დაღრეობა ჰქონდა). ფოტოგრაფმა კარებზე ცარცით დახატა ჯერები. ჩამოიედის ცეცხლის ანგელოსი. აღამიანები ხანძარს ვადაუჩებიან. მეორე დღისა ფოტოგრაფი ისევ ავიდა თავის მაღლობზე. ქალაქის სურათი გადაიიღო.

თემშარიაზე მქედელი სცხოვრობდა. მან ფოტოგრაფს თვალი მოჰკრია. სამქედლოდან გამოეიდა. თავი დაბ-

ლა დაუკრა. მის ნატერფალს აკოცა. — შენი შეადგინდაა, რომ ჩემი სახლი ხანძარის გადაუკრა.

— ჩემი რა საჭირო. იმპარატორი თვეი ფოტოგრაფია. ფრინველს დაუშალლე, მას დაუხასიავს ჯვარი შენს კარზე. მთელი ქვეყანა შევ ფრინველს უნდა უმაღლოდეს, თორებმ ელექტროს ხანძარი ქვეყანას ვაღასწვევდა. მციცლელი სახლში შევიდა. კარები გაიხურა. ახლა მციცლის ქალი მშეხარ ვამოუდგა ფოტოგრაფს. ქალი კალთებს უკოცნიდა. ფოტოგრაფი მივიდა. საკინძე გაუხსნა ქალწულს. თოვლის ქულა-საეით თეთრი ძუძუები გამოილო. ქმილი დაადგა. „შენი ძუძუები ტებილია როგორც ზედაშე. რა თეთრი ძუძუები გამოხია ჩემი ალბათუნი!“ ქალი განითლდა. — მე ვერ ვხედავ, აკი ბრძან ვარ.

მეტი სინათლეც მაუნებელია. ანუგეშა ფოტოგრაფია და წითელბატონებისაგან დაბრძმავებულ თვალებზე აკოცა ქალწულს.

— სად არის სინათლე?

— სინათლე ქვეყანას ეუინება. უპისუხა ფოტოგრაფ-მა და მისი გული სიხარულისაგან ატოკედა.

საღამოს, ფოტოგრაფი თავის ატელიეში იყო. ფან-ჯარასთან იჯდა. თავის სოფელზე ფიქრობდა. ადგა. კარაღილდან ცხეირისახოცში შეხევეული მიწა ჩა-მოილო. სჭამდა. იძახოდა: მე მიუკარ ნაციები მიწა. შემდევ სოფლის სურათების თვალიერება დაიწყო. კარი გაილო. შევ ფრინველი დინჯად შემოეიდა.

ნისკარტით აიღო ნეციები სოფლის და ულავაშის  
ნიანი ქალაქის სურაგძი. თავზე გადაახია ფოტოფ-  
რაფს. ფოტოფრაფი წიმოდგა. ფოტოფრაფი უდაბისა  
რატზე წამომჯდარ ტუმარს დააცემდა.

მიწის გულის ცეც ლი გიზებიზებდა „შავი ფრინვე-  
ლის თვალებში. ფოტოფრაფი მუხლებზე დაეცა. თა-  
ყვანი სცა ჯოჯოხეთის სიძეს.

— ქვეყანა სურა ის გადალებად არა ლირს. დაი-  
ყრანტალა სტუმარშა და გათრინდა.

ფოტოფრაფში თავი თ აპარატი გადმოილო. ჩექის  
ქუსლით დაამტკითა.

ამის შემდეგ მას სურათი არ გადაულია.

ფოტოფრაფი აბლა წიგნსა სწერს: „ქვეყანა, რომე-  
ლიც სურათის გარღებად არა ლირს“.

## ს ა რ ჩ ე ბ ი:

33.

I	დედავ, მისტიკური ქალი	3—4
II	ხავთები	5—6
III	ნაპოლეონი	7—8
IV	ტელეფონში	9—10
V	პორცელანი	10—27
VI	შეხვედრა მკვდართან	28—32
VII	ზარები გრიგალშვი	34—45
VIII	ფოტოგრაფი	47—52
	ორნამენტი მარსელ გენარის.	
	წარწერები გოთიგი ნათების.	

## පුද්‍රාචාරය රෝගීවානේ

ජාතිකාලීය:

පුද්‍රාචාරය සංඛ්‍යාලුව පුද්‍රාචාරය

II ජ්‍යෙෂ්ඨ: ටෙලුවීම් පුද්‍රාචාරය  
(ජාතිකාලීය)

මොශාන්තකාලී. තෙරුලුනි. දැනුනුම්. Maria Stella. අනුජ්‍යරියා දාය කාලාජ්‍යී. ජ්‍යෙෂ්ඨ මාරුණ්‍යී. මා-මා. De Profundis. බෞජ්‍යභාස්‍ය යාරි. ග්‍රාෆ් පුද්‍රාචාරයී. ග්‍රාෆ් පුද්‍රාචාරයී. පුද්‍රාචාරයී. පුද්‍රාචාරයී. පුද්‍රාචාරයී.

III පුද්‍රාචාරය පුද්‍රාචාරය

උරාඩා හි තුළුනාල, පුද්‍රාචාරය දා පුද්‍රාචාරය.

## IV ටෙමසේ පෙරලුබනුව

(නොමැති)

(ජාරියා 1918—20 ජූලියේදී පෙරලුබනුවේ තුළුමුදාලු-  
පොදු පොදුවේ).

## V AURORA

(ජ්‍රිතියුතුව යෙශායේ)

අභ්‍යන්තර නියුතු. තේගාන ගෝන්ගු. පොමාන යෙශායු-  
පාන්ද ගුත් ගෝන්ගු. මැලියුරු දාන්තු. මුද්‍රායු තුළු-  
පුරුහි මිදියුතින්දු පාලන්දිමි. තුළාත්‍රි. තුළාත්‍රි මුද්‍රා-  
පුරුහි. මිදියුතින්දු තුළා උස්ස්වරුතින්දු මිමි. තුළා-  
ත්‍රි දා උස්ස්වරුතින්දු මිමි. ඇතාත්‍රි උස්ස්වරුති. ජ්‍රිතියු-  
තා මුද්‍රායු මුද්‍රායු. දාවුන් ගුරුතාමින්දු මිලියු. මිලියු පාව-  
කාවායු. වාශා ගුෂාවායු. පාතා ඇඟිලු මුද්‍රායු මුද්‍රායු.

## VI ඡුඩ්‍රියා

(තාන්ත්‍රිකමානුදී උස්ස්වරුති මුද්‍රායු මුද්‍රායු).

5

782/562

11/10.234

ମାନ୍ୟମାଳା କରିତାମାଳା ମାନ୍ୟମାଳା



K 10.234/1

ବ. ବ. ବ. ବ. ବ. ବ. ବ.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ. ମିତ୍ରପଲ୍ଲୀ. ନେ 1498.  
 ପ୍ରକାଶକାରୀ ଶିଳ୍ପମାନମନ୍ଦିର।

## ଜୀବ ସାମଗ୍ରୀ ପରିଚୟ

ପାଠୀମହିଲାଙ୍କା ଲ. ପ୍ରଯନ୍ତା  
 ମିତ୍ରପଲ୍ଲୀ ପ୍ରକାଶକାରୀ  
 ଅମୃତା-ପିତ୍ତୁ. ଲ. ପ୍ରଯନ୍ତାଙ୍କାରୀ  
 ମେଲ୍ଲାଙ୍କା ପ୍ରାଚୀନ୍ତା. 1924 ଫ. 13/VI.  
 ପ୍ରକାଶନ 1500.

ମାନ୍ୟମାଳା